619
1979

ISSN 0130 1624

ეროვნული ბიბლიოთეკა





# დროშა

ივლისი
№ 7 1979 წ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

საქდეს — საქინფორმის ტელეფოტო.

სურათზე: დოკუმენტების ხელმოწერის დროს.

# დიდი ნაბიჯი საყოველთაო მშვიდობის გზაზე



18 ივნისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ჯ. კარტერს შეხვდა ამერიკის შეერთებული შტატების ვენის საელჩოში. შეხვედრა მიმდინარეობდა პირისპირ.

საუზმის დროს, რომელიც ნდობის ვითარებაში გაიმართა, განიხილეს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის დიდმნიშვნელოვანი საკითხები და საერთაშორისო ვითარების ზოგიერთი პრობლემა.

შეხვედრამ საქმიან, გულახდილ ვითარებაში ჩაიარა. (საქდესი).

სურათზე: საუბრის დროს. საქდეს — საქინფორმის ტელეფოტო.

18 ივნისს ვენაში დამთავრდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯ. კარტერის მოლაპარაკება. მოლაპარაკების შედეგად ხელმოწერილია სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მეორე ხელშეკრულება სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ, აგრეთვე საბჭოთა კავშირ-ამერიკის სხვა დოკუმენტები.

ახალი ხელშეკრულების არსია შეიარაღების რაოდენობრივი შეზღუდვა და მისი თვისებრივი სრულყოფის შეკავება. ეს დოკუმენტი გონივრული კომპრომისია, რომელიც ითვალისწინებს ორივე მხარის ინტერესებს. მას საფუძვლად უდევს თანასწორობისა და თანაბარი უშიშროების პრინციპი, ხოლო ორივე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ყველა ვალდებულების შესრულება საიმედოდ შეიძლება შემოწმდეს.

სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის მეორე ხელშეკრულების ხელმოწერა დიდი წინ გადადგმული ნაბიჯია საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის საერთო გაჯანსაღების, მაშასადამე, მთელი საერთაშორისო კლიმატის გაჯანსაღების გზაზეც. დამაჯერებლად მოწმობს, რომ საბჭოთა კავშირსა და შეერთებულ შტატებს შეუძლიათ ერთად გადაწყვიტონ მეტად რთული და დელიკატური საკითხები.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

№ 7 (511), ივლისი, 1979 წ.

ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

© „დროშა", 1979 წ.

ჩვენს რესპუბლიკაში



# უნიკალური გვირაბი

ამ რამდენიმე ხნის წინათ სპეციალურმა ტექნიკურმა კომისიამ ექსპლოატაციაში შესვლის შემდეგ დაათვალიერა ენგურჰესის სადერივაციო გვირაბი.

კაშხალზე დასწიეს წყლის დონე; რამდენიმე დღეში დაიცალა თხუთმეტი კილომეტრის სადერივაციო გვირაბი, რომელშიც ერთი მილიონ ასი ათასი კუბმეტრი წყალი იდგა. დათვალიერების შემდეგ დადგინდა, რომ გვირაბი დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია. მასში არ შეიმჩნეოდა ბეტონის კედლების რღვევა, ბზარების არსებობა, გამორეცხვა და სხვა დეფექტები. გვირაბის შემოწმება გამოწვეული იყო მით, რომ ენგურჰესის გაშვების პერიოდში წინასწარ არ იყო დაცლილი გვირაბი. სასიამოვნოა, რომ ამ გვირაბის გამოცდამ კარგი შედეგი მოგვცა და სპეციალურ-ტექნიკური კომისიის მაღალი შეფასება დაიმსახურა.

ენგურის სადერივაციო გვირაბი უდიდესია მსოფლიოში. ჯერ არსად არ არსებობს ამ სადერივაციო გვირაბზე უგრძესი და მასზე დიდი კვეთის ნაგებობა. გვირაბის სიგრძე 15 კილომეტრია, მისი გრძივი ღერძის დახრა 1 კილომეტრზე შეადგენს 38 სანტიმეტრს, ხოლო წყლის ხარჯვის დროს წნევა 16 ატმოსფეროს ეტოლება. გვირაბი გაჭრილია კირქვოვან მთებში, რომლებიც ზოგჯერ მერგელოვანი და თიხანარევი ქანებისაგან შედგება. გვირაბის მშენებლობის დროს მშენებლები ხვდებოდნენ სხვადასხვა ზომის კასტრულ გამოქვაბულებს. გვირაბი 50 სანტიმეტრი სისქის ბეტონით არის მოპირკეთებული. ამგვარი თხელი კედელი ასეთი დიდი წნევის გვირაბში პირველად არის გამოყენებული. ეს სიახლე ქართველი ინჟინრების წინადადებითა და გაანგარიშებით იქნა მიღებული. გათვალისწინებული იყო, რომ მთელ ჰიდროსტატიკურ ძალას, რომელიც წყლის გატარების დროს წარმოიშვება, მიიღებს კლდის ქანები და არა ბეტონის კედელი. ბეტონის კედლების დანიშნულება კი არის მხოლოდ კლდის უსწორმასწორო გვერდების გასწორება, გამდინარე წყლის ხახუნის კოეფიციენტის შემცირება და წნევის გადაცემა კლდის ქანებზე; ასეთმა გააზრებამ მოითხოვა კლდის გამაგრება, დაბზარული ქანების ღრმად დაცემენტება.

გვირაბის მშენებლობის პერიოდში გამონგრეული და გამოტანილი იქნა მილიონ ექვსასი ათასი კუბმეტრი ქვის ქანები. გვირაბის მოპირკეთებას დასჭირდა ნახევარი მილიონი კუბმეტრი ბეტონი. ზოგიერთ ადგილებში სპეციალური სახის გამაგრებები კეთდებოდა. ბეტონის მოპირკეთების გარდა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, კლდის ქანებში გაკეთდა გასამაგრებელი ცემენტაცია ექვსასი ათასი გრძივი მეტრის რაოდენობით.

საბჭოთა კავშირში დერივაციული გვირაბების გაყვანა პირველად საქართველოში დაიწყო 1929 წელს რიონჰესის მშენებლობაზე. მიუხედავად იმისა, რომ სათანადო გამოცდილება არ ჰქონდათ, ქართველმა ჰიდრომშენებლებმა სწრაფად აითვისეს ახალი სახის გვირაბის მშენებლობა და დიდი მიღწევებიც მოიპოვეს. აღსანიშნავია, რომ მათ სარეკორდო დროში — თხუთმეტი თვის განმავლობაში გაიყვანეს კილომეტრ-ნახევარი სიგრძის გვირაბი.

ენგურჰესის გვირაბის მშენებლობის დროს ბევრი ახალი მეთოდები დაინერგა მშენებლების მიერ. ეს უნიკალური ნაგებობა დღეს სპეციალისტთა საერთო მოწონებას იმსახურებს. მოგზაური თუ სტუმარი. მართალია, გვირაბს შიგნიდან ვერ ხედავს. მაგრამ სამაგიეროდ მან არ შეიძლება გვერდი აუაროს ენგურის ზემაღალ კაშხალს; როგორც ცნობილია, ენგურის კაშხალი უდიდესია ბეტონის არსებულ კაშხლებს შორის. კაშხალში დღემდე ორ-ნახევარ მილიონზე მეტი კუბმეტრი ბეტონია ჩასხმული. მიუხედავად იმისა, რომ იგი ჯერ კიდევ მთლიანად არ არის დამთავრებული, მაინც დიდ შთაბეჭდილებას სტოვებს მნახველზე.



ქართველ ჰიდრომშენებლების საამაყოდ უნდა ითქვას, რომ ამ უნიკალური ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას მთავრობის მიმღებმა კომისიამ მაღალი შეფასება მისცა.

ენგურჰესის კომპლექსის მშენებლობა საინჟინრო დარგში მეცნიერების, დამპროექტებლებისა და მშენებელთა კოლექტივის მართლაც რომ უდიდესი მიღწევაა.

**პეტრე წულუკიძე,**

საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი.

# ერის



# სიმდიდრე

მთავარი რედაქტორი
რევაზ მარგიანი

სარედაქციო კოლეგია:
გულნარა ბახტაძე, თენგიზ გოგოლაძე (პ/მგ. მდივანი), ოთარ დემეტრაშვილი, გურამ დოჩანაშვილი, სერგო დურმიშიძე, დინარა ნოდია (მხატვარი-რედაქტორი), ლადო სულაბერიძე, ილია ტაბაღუა, უჩა ჯაფარიძე.

კორექტორი ქეთევან წერეთელი



16922

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

# გაცოცხლებული



ეზოში.

რომელია საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე ძველი და ყველაზე ახალგაზრდა სოფელი?

ამ კითხვაზე ახლა გურჯაანის რაიონში კაცი არც კი დაფიქრდება, პასუხს მაშინვე მოგაგებებს: ჭერემი!

დიახ, იყო ასეთი სოფელი, სოფელი კი არა და, ერთ დროს იგი კახეთის ძლიერ ფეოდალურ ციხე-ქალაქად ითვლებოდა. ვახუშტი ბატონიშვილი თავის ცნობილ წიგნში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ წერს:

„...იყო ქალაქი, სადაც აღაშენა გორგასალ ეკლესია დიდშენი, გუნბათიანი და ქალაქი მაგარი, და დასვა ეპისკოპოზი, მწყემსი შიგნით — კახეთისა, და ზის დღესცა“.

გავიდა ხანი, ჟამთა სიავემ ციხექალაქი აღგავა პირისაგან მიწისა, დიდგუმბათოვანი ეკლესიის კედლებიღა შემორჩა. მის ირგვლივ იყო მიმოფანტული მაშვრალთა ღარიბული ქოხმახები. არც გზა, არც სინათლე არ გაჩნდა ცივგომბორის მაღალ მთებში მიკარგულ სოფელს. აქაური გლეხკაცი ქვეითად თუ ჩამოვიდოდა ზოგჯერ ბარში და ამას მთელ დღეს ანდომებდა.

ომისშემდგომ წლებშიაც ჭერემში აქა-იქ კიდევ იყო შემორჩენილი რამდენიმე ოჯახი, ბუხარში კიდევ ამოდიოდა კვამლი, ეზოში ყეფდა ძაღლი. მერე კი ერთბაშად დაყრუვდა, გაუკაცრიელდა აქაურობა. ჭერემლები დედაწულიანად აიყარნენ და ბარს მიაშურეს. უკანასკნელი ოჯახი ამ ოცდაათიოდე წლის წინათ გაუდგა გზას.

— მეტის მოთმენა აღარ შეგვეძლო, ქვეყანა წინ წავიდა, ცხოვრება კულტურული გახდა. ჩვენ კი ვიყავით მთებში გამოკეტილი, უგზოობა და ჭრაქის სუნი გვიწამლავდა სიცოცხლეს. ბევრი ვემუდარეთ გურჯაანის რაიონის მაშინდელ მესვეურებს — დაგვეხმარეთო. ტკბილი სიტყვით გვიცილებდნენ თავიდან, საქმით კი არაფერი გაგვიკეთეს. ჩვენც იძულებული გავხდით აგვყრილიყავით. მერე და როგორ გვენანებოდა მამა-პაპური კერის მიტოვება. თუმცა აყრაში მათაც შეგვიწყეს ხელი. იმ დროს სამგორში ჩასახლება მიდიოდა. იქ გაგვამწესეს. ზოგმა, მართალია, სოფელ გამარჯვებაში დაიდო ბინა, მაგრამ ზოგი გურჯაანის რაიონის სხვადასხვა სოფლებს შეეხიზნა.

გავერანდა, ტყედ იქცა ოდესღაც ბაღნარიანი მიდამო. სამიოდე წლის წინათ ნაფუძნარსა ან ნანგრევებზე თუ შეატყობდით, რომ აქ ოდესღაც სოფელი იყო და ხალხი ცხოვრობდა. მაგრამ აქაურ მკვიდრთ იმედი და რწმენა არ დაუკარგავთ. ისინი ვერ ურიგდებოდნენ იმის ფიქრსაც კი, რომ უპატრონოდ იყო მიგდებული ჭერემის მიწა, მამა-პაპათა საფლავები.

მათმა შეუპოვრობამ და სიმტკიცემ თავისი გაიტანა. ამ სამიოდე წლის წინათ გურჯაანის რაიონის ხელმძღვანელებმა პარტიის რაიკომის ყოფილი პირველი მდივნის შოთა ეცადაშვილის თაოსნობით გულდასმით შემოიარეს ჭერემის მიდამოები, შეისწავლეს მისი ულეველი სიმდიდრე და მტკიცედ გადაწყვიტეს, კვლავ დაუბრუნონ მას სიცოცხლე, აყვავებულ კუთხედ აქციონ იგი. შემუშავდა ჭერემის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმა.

გურჯაანის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე როსტომ ნასარიძე მოგვითხრობს:

— ასობით ჰექტარზეა შეფენილი ბუნებრივი სათიბ-საძოვრები, სადაც უხვად მოდის სურნელოვანი თივა, რაც მეცხოველეობის განვითარების დიდი საწინდარია. აქ ყველა პირობაა, რომ მოიწიონ ხორბლის, სიმინდის, ბოსტნეულ-ბაღჩეულის უხვი მოსავალი. გარდა ამისა, ტყეები მდიდარია მრავალნაირი ველური ხილით. სოფლის შემოგარენში არის სამკურნალო წყალი. განა დანაშაული არ არის, ადამიანმა უარი თქვას იმაზე, რასაც ბუნება თვითონვე გულუხვად აძლევს? აქ უკვე ათვისებულია ორი ათასი ჰექტარი მიწა, მთლიანად კი შვიდი ათას ჰექტარს აითვისებენ.

როსტომ ნასარიძე ჭერემში მიემგზავრებოდა. მეც თან გავყევი. კაჭრეთიდან გზა მარჯვნივ უხვევს, ცოტა გაივაკებს, მერე კი სულ ზევით მიიწევს. თვრამეტი კილომეტრი გზა მთებსა და ხევებში მოკლე დროში, ექვს თვეში გაიყვანეს. ამ გზაზე ახლა დაქრიან ავტომანქანები, გადაჰყავთ მგზავრები, გადააქვთ საშენი მასალები.

შენდება ჭერემი, შორიდანვე თვალში გეცემათ ხარაჩოების ტყე, შებინდებისას კი ილიჩის ნათურები აკაშკაშებენ მკვდრეთით აღმდგარ სოფელს.

მოვინახულეთ ის ოჯახები, პირველნი რომ დაუბრუნდნენ მამა-პაპათა სავანეს. ნიკა ჯაჭვაძე, ალექსანდრე აბესაძე, მიხეილ ბარბაქაძე, ივანე ბურდილაძე, გიო გელაშვილი, ნიკალა ჩაფიძე, რობინზონ და ვანო წიკლაურები... ჯერჯერობით აქ სამოცამდე კომლი ცხოვრობს. მალე ორას ორმოცდაათს მიაღწევს. ახალმოსახლეებმა გვითხრეს:

— ძველმა ჭერემლებმა გულით გავიხარეთ, სოფლის განახლების ამბავი რომ შევიტყეთ. ახლა ყველა აქედან წასული გამოთქვამს სურვილს, ისევ დაუბრუნდეს წინაპართა კერას, გასახარი ის არის, რომ ამ საქმეში ახალგაზრდებიც დიდ ენთუზიაზმს იჩენენ.

გაღვივდა კერა, ამოვიდა კვამლი ბუხრიდან. გაჩაღდა ქორწილებიც. იქმნება ახალი ოჯახები. პირველი მოქალაქე, რომელიც განახლებულ ჭერემში დაიბადა, ვალოდია ჯაჭვაძეა. მას სხვაც ჰყავს თანატოლი; პატარები ყველაფერში ბაძავენ უფროსებს, საკუთარი სამშენებლო მოედანი შეუქმნიათ, ნაფოტებით აგებენ „სახლებს“.

როგორია მეორედ დაბადებული სოფლის ხვალინდელი დღე?

სოფლის განაშენიანების გენერალური გეგმა დაამუშავეს „საქსახსოფლმშენპროექტის“ ინსტიტუტის არქიტექტორებმა. საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი ისეა განლაგებული, რომ კომპაქტურად ერწყმის მაღალმთიან რელიეფს, შენარჩუნებულია ლანდშაფტის სილამაზე.

ამ გეგმის მიხედვით, სოფლის ტერიტორია დაყოფილია ოთხ ქუჩად. თითოეულ ქუჩაზე შენდება 50 ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი, რომლებშიც შენარჩუნებულია ხუროთმოძღვრების უძველესი ხალხური ტრადიციები. სახლთან ახლოს არის დამხმარე ნაგებობები. ცალკეა გამოყოფილი სამეურნეო ეზო პირუტყვისათვის, საკარმიდამო ნაკვეთი და ა. შ. სამშენებლო მასალად ძირითადად გამოყენებულია ფლეთილი შავი ქვა, იგი უხვად არის მდინარე ჭერემულას ხეობაში და მისი მოპოვებაც იაფი ჯდება.

სოფლის ცენტრს დაამშვენებს საშუალო სკოლა, საბავშვო ბაგა-ბაღი, კლუბი, ადმინისტრაციული სახლი, აფთიაქი, სავაჭრო ცენტრი, ფოსტა. ასამდე ჭერემელი ვაჟკაცი დაეცა ფრონტზე. მათ უკვდავსაყოფად იქმნება მემორიალი. ყველა ეს ნაგებობა შექმნის ერთიან არქიტექტურულ ანსამბლს.

ჭერემს ექნება ცენტრალური გათბობა, საკანალიზაციო ქსელი. აღდგენილია წყალსადენის ძველი მაგისტრალი და გათვალისწინებულია ახლის მშენებლობაც. ერთი სიტყვით, ჭერემში იცხოვრებენ მოხერხებულად, ისე, როგორც კეთილმოწყობილ ქალაქში.

კალატოზი.



# ჭერემი

მწუობრშია „მეცხოველეთა ქალაქი“. აქ ერთმანეთის გაყოლებით ლამაზად არის ჩამწკრივებული ხუთი კაპიტალური კორპუსი, თითოეულის მოცულობა შვიდასი კვადრატული მეტრი. ისინი გათვალისწინებულია ათასი სული კამეჩისათვის. მათ შორის შვიდასი სული უკვე დაუბინავებიათ. ამით დაიწყო ერთი წლის წინათ შექმნილი კოლმეურნეობის ბიოგრაფია.

მისი თავმჯდომარე, ახალგაზრდა სპეციალისტი თენგიზ ჯაჭვაძე უნარიანად უძღვება მეურნეობას. შარშან ჭერემელებმა იმდენი საკვები დაამზადეს, რომ ნაწილი გაყიდეს კიდეც. ამით კოლმეურნეობამ მნიშვნელოვანი თანხა მიიღო. გრძელვადიანი კრედიტიც მისცეს კოლმეურნეობას და იძენენ საჭირო ტექნიკას.

შენდება აგრეთვე სარძეო კომპლექსი 400 ჯიშიანი ძროხისათვის, ღორების ფერმა, განვითარდება მეფუტკრეობა. კოლმეურნეობა ყოველწლიურად სახელმწიფოს მისცემს 1.500 ტონა რძეს, 40 ტონა ხორცს, დიდძალ მატყლს, თაფლს და სხვა ძვირფას პროდუქტს. აი რა სიმდიდრეს ვკარგავდით ყოველწლიურად.

ჭერემს მთელი რაიონი აშენებს. ეს საყოველთაო საქმედაა აღიარებული. კარგი საქმე ითავა კომკავშირის გურჯაანის რაიკომმა, რომლის ინიციატივით აქ ხშირად ეწყობა შაბათობები, ქალიშვილები და ჭაბუკები შრომობენ მშენებლობებზე, წესრიგში მოჰყავთ სოფლის ტერიტორია, ითვისებენ ახალ და დიდხანს მიგდებულ მიწებს.

ჭერემის მშენებლობაზე დიდი მონდომებით შრომობენ მეამწე ვახტანგ ოლღიშვილი, ელექტროშემდუღებელი ოთარ დაუდიშვილი, კირით-ხუროები ვანო ჩეკურიშვილი, გიორგი აკოფაშვილი, სამუშაოთა მწარმოებლები ბეჟან ბეჟანიშვილი, ნიკო ჯაჭვაძე... ვინ მოსთვლის ყველა მოწინავეს.

— მალე ჭერემი რაიონის საჩვენებელ სოფლად იქცევა, — ამბობს ჭერემის კოლმეურნეობის თავმჯდომარე თენგიზ ჯაჭვაძე, თავისი სოფლის დიდი პატრიოტი და მოამაგე, მოუსვენარი კაცი, რომელიც იმის ფიქრსა და ოცნებაშია მალე დამთავრდეს სოფლის მშენებლობა.

ჭერემში პირადი მეურნეობისთვისაც ზრუნავენ. კოლმეურნეობის დახმარებით დაიწყეს კამეჩების და ღორების მოშენება; შარშან ჭერემელებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს ასობით ცენტნერი ხორცი.

სამეურნეო საქმიანობას რომ ეწევიან, ჭერემელები არც კულტურის ძეგლებს ივიწყებენ. ძეგლთა დაცვის რესპუბლიკურმა კომიტეტმა შეისწავლა აქაური სიძველეთა ძეგლები და მათი აღდგენისათვის გამოყო 200 ათასი მანეთი. პირვანდელი სახე დაუბრუნდება, მაგალითად, ვახუშტის მიერ აღწერილ გუმბათოვან ეკლესიასაც.

წინ კიდევ ბევრი სამუშაოა. გაჰყავთ ველისციხე-ჭერემის საავტომობილო გზა. ესეც მეორე 18 კილომეტრიანი ტრასაა, რომელიც სოფელს რაიონულ ცენტრთან დააკავშირებს.

ჭერემის ყველაზე მაღალი ზონაა ნაშარობი. იგი ზღვის დონიდან ორი ათას მეტრზე მდებარეობს. აქ საუკეთესო ჰავაა, მძლავრად მოჩქეფს დედამიწის წიაღიდან სამკურნალო წყლები, დაგეგმილია დასასვენებელი სახლების, პიონერთა ბანაკების, ტურისტული ბაზის მშენებლობა. ნაშარობი, რომელიც წინათ კახეთის მეფეთა ზაფხულის რეზიდენცია იყო, ახლო მომავალში მშრომელთა ჯანმრთელობის კერად გადაიქცევა.

...მკვდრეთით ადგა, კვლავ აღორძინდა, განახლდა ჭერემი. ეს ის ცხადად ქცეული ოცნებაა, რომელიც აღიბეჭდება არა მარტო რესპუბლიკის რუკაზე, არამედ ადამიანთა გულსა და შეგნებაშიც.

დავით ბიწაძე.



მშენებლობაზე.

ანზორ გოგოლაძის ფოტო.



შენდება სოფელი.

საგაზაფხულო საძოვრებზე.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ერის სიმდიდრე

ვბეჭდავთ ქართული ფოლკლორის ნიმუშებს, ოჯახს, მრავალშვილიანობას და დედაშვილობის მაღალ გრძნობას რომ უმღერიან.

მასალა ჩვენი თხოვნით მოგვაწოდა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა, შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერ თანამშრომელმა ნოდარ შამანაძემ.

### დალოცვა

ნეფე, ღმერთმა გადღეგრძელოს
მოგცემოდეს ბედი კარგი,
ბევრი სთესო, ბევრი მომკო,
არა გქონდეს გულში დარდი.

მტერმა ვერაფერი გაკლოს,
ვერც ავთვალმა გაგითვალოს,
იმდენი შვილი მოგეცეს,
თვალო, თვალო, ვერ დათვალო.

მთქმელი თ. სესიკაშვილი,
ახმეტა, სოფ. ქისტაური.



ბევრი შვილის პატრონსაო, ღმერთი ულეწს კალოსაო.

უშვილო კაცი ჯირკიაო.

### დედაჩემო, გამათხოვე

გამათხოვე, დედაჩემო,
რას უყურებ, რასაო,
ჩემი ტოლები გათხოვდნენ,
გაუყენეს გზასაო,

ოჯახს ემსახურებიან,
შვილებსა და ქმარსაო.
წავალ, შარაზე დავჯდები,
მოვიწონებ თავსაო,

კარგი ბიჭი ჩამოივლის,
მკერდზე ვუზამ თვალსაო,
კაი მეუღლეს ვიშოვი,
ულვაშ-კოკობასაო,

სამ გოგონას გავიჩენ და
ამდენივე ვაჟსაო.

მთქმელი ა. ობგაიძე,
თიანეთი.

ყველა ფრინველი ფრთით ფრინავს, ქალი კი — ქმარ-შვილითაო.



### ქართველი კაცის ვალია

ქართველი კაცის ვალია,
ქართველი კაცის ზნე არი:
უღელი ხარი იყოლოს,
ორიოდ ძროხა რქიანი,

ათიოდ ცხვარი იყოლოს,
ხუთიოდ თხანი რქიანი,
ცოლი შეირთოს მშრომელი,
პატიოსანი, ჭკვიანი,

შვიდიოდ შვილი გაზარდოს,
გამრჯე და თავაზიანი.

მთქმელი ნ. მსუქნიშვილი,
ქ. თელავი.

## ყველაზე მდიდარი კაცი

ერთ ქალაქში ცხოვრობდა ძალიან მდიდარი კაცი: რვა თვალი ოთახი ჰქონდა და რვავე ოქროებით იყო პირთამდე სავსე. თვითონ კი ცოლთან ერთად საკუჭნაოში ბინადრობდა. ცოლ-ქმარს, ოქროების გარდა, ქვეყნად არაფერი ახსოვდათ. ისიც კი აღარ აგონდებოდათ, უშვილოდ რომ ბერდებოდნენ. დილიდან საღამომდე ფულის თვლას იყვნენ გადაყოლილნი: თვლიდნენ და თვლიდნენ, თვლიდნენ და თვლიდნენ...

ერთხელ ამ კაცმა მთელი ქალაქის ხალხი შეკრიბა და განუცხადა: მე ყველაზე მდიდარი ვარ, ამიტომ დროა ქალაქის თავად ამირჩიოთო.

— ყველაზე მდიდარი შენ კი არა, მე ვარ! — წამოიძახა ხალხის შუაგულიდან ჯმუხა ტანის ხელოსანმა, ჩამოხეული ჩოხა და ფარფალა ქუდი რომ ეხურა.

ხალხი აჩოჩქოლდა, აქა-იქ სიცილის ხმაც გაისმა. მდიდარმა კაცმა თავისი წინადადება კვლავ გაიმეორა.

— მე ვარ ყველაზე მდიდარი! — ახლა უფრო მეტი რიხით შესძახა ხელოსანმა.

შევამოწმოთო, წამოიძახეს აქეთ-იქიდან.

აირჩიეს ბჭეები. წავიდნენ, ჯერ მდიდარი კაცის ქონება ნახეს, მერე ხელოსნის სახლისაკენ გასწიეს. ერთ პატარა ეზოს რომ მიუახლოვდნენ, ჟრიამული მოესმათ. ხელოსანმა ჭიშკარი შეაღო და ეზოში შევიდა. ბჭეებიც შეჰყვნენ. ერთ კუთხეში გრძელური სახლი იდგა, თავლასავით ჰერდაბალი და ისლით გადახურული.

— აი, ჩემი სიმდიდრე! — თქვა ხელოსანმა და ბავშვებისაკენ ხელი გაშალა.

— რამდენი გყავს? — ჰკითხეს ბჭეებმა.

— ცამეტნი აგერ დარბიან, ორი კიდევ აკვნებში მიწევს, სამიოდე თვის წინათ შემეძინა.

ბჭეებმა ჯერ ეზოში მოხტუნავე ბავშვები დათვალეს, მერე სახლში შევიდნენ. იქ სოხანეზე მართლა იდგა ორი აკვანი. ლოყებღაჟღაჟა ქალი ორივე აკვანს ერთდროულად არწევდა, თანაც ისეთი ტკბილი ხმით უნანავებდა, სტუმრებმა ყურები ცქვიტეს.

— ყველაზე მდიდარი კაცი მართლაც ეს ყოფილა! — დაადგინეს ბჭეებმა და ხელოსანი ქალაქის თავად აირჩიეს.

მთქმელი ს. დავითაშვილი,
სოფ. წინანდალი.



დავწვრილშვილდი, დავიწიე, დამეზარდნენ, ავიწიეო.

### მზე — შინა

მზე — შინა და მზე — გარეთა,
მზევ, შინ შემოდიო.
უყივლია მამალსაო,
მზევ, შინ შემოდიო.

გათენდი თუ გათენდები,
მზევ, შინ შემოდიო.
მზე დაწვა და მთვარე შობა,
მზევ, შინ შემოდიო.

მეცხვრე [illegible],
მზევ, შინ შემოდიო.
ერთი გოგო აკვანში გვყავს,
მზევ, შინ შემოდიო.

მთქმელი ა. ობგაიძე,
თიანეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედაკაცი შვილების გაზრდით ფასდებაო.

ბევრი შვილი დედის გულის ბაღნარიაო.

ერთი შვილი, ლობეს ჩხირიო, ორი შვილი — ვითომ შვილიო, სამი შვილი — მართლა შვილი, ოთხი შვილი, კაი შვილიო.

საცა შვილი არ არის, იქ სიხარულს რა უნდაო.

### ზოგიერთა ქალები

ზოგიერთა ქალები
ქარივით ჩამოჰქრიანო,
თითო ყმაწვილს გაგვიჩენენ,
ბუზღუნ-ბუზღუნით ზრდიანო,

გაგვიხდებიან ბატონად,
სახლსაც არ დაგვიგვიანო,
არც ჩვენი რამე არ ესმით,
ვერც მათი გაგვიგიანო.

მთქმელი თ. სესიკაშვილი,
ახმეტა, სოფ. ქისტაური.

### თინიკოს დედა

თინიკოს დედა ნატრულობს
თინიკოს გათხოვებასა,
თვითონ თინიკოც ნატრულობს
ყოველ წელს აკვნის რწევასა,
შვილების ბლომად გაჩენას,
გაზრდას და გახარებასა.

მთქმელი ნ. მსუქნიშვილი,
ქ. თელავი.

უბავშვო ოჯახი დაყრუებულიაო.

ბევრი ხილი ბაღს ამშვენებს, ბევრი შვილი — ოჯახსაო.

უნაყოფო ხეც კი არვარგაო.

შვილი ვარდია, უშვილობა — ეკალიო.

შვილი თუ არა გყავს, იშვილე და გეყოლებაო.

### კოჭლმა გოგომ ბიჭსა უთხრა

კოჭლმა გოგომ ბიჭსა უთხრა:
თვალს რად აღარ მადევნებო,
სიკოჭლეზე რატომ მწუნობ,
განა კურდღელს მადევნებო.

შვილებს ბლომად გამოგიზრდი,
ჯარად აგიზრიალებო,
ჯამ-ჭურჭელს კარგა დაგირეცხ,
თაროს დაგიკრიალებო,

ახალოხს კარგს შეგიკერავ,
ღილებს დაგიწკრიალებო,
პურსაც მალე გამოგიცხობ,
ჯერს არ დაგიგვიანებო.

მთქმელი ს. დავითაშვილი,
სოფ. წინანდალი.





# მერქნის მესაიდუმლე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზურაგ დათუაშვილის ფოტო.

სამეცნიერო ხარისხის მიმნიჭებელი საბჭოს სხდომა

ლაბორატორიაში.

ეს ამბავი 1975 წლის შემოდგომაზე მოხდა.

ლენინგრადში მიმდინარეობდა ბოტანიკოსთა XII მსოფლიო კონგრესი, რომელშიც მერქანმცოდნე-ანატომთა მსოფლიო ასოციაციის წევრებიც იღებდნენ მონაწილეობას.

„მერქნის ფორმირების ეკოლოგია", — ასეთი იყო მოხსენება, რომლითაც ბოტანიკოსთა მსოფლიო ფორუმზე წარსდგა თბილისის სატყეო ინსტიტუტის ახალგაზრდა მეცნიერი თანამშრომელი ელდარ ლობჟანიძე.

ინგლისურ ენაზე წაკითხულმა მოხსენებამ თავისი შინაარსით, სიღრმით, პრობლემატურობით, მეცნიერული დასაბუთებით მსოფლიო კონგრესის მონაწილეთა საერთო მოწონება და აღიარება დაიმსახურა.

რამდენიმე ხნის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატებიდან სასიხარულო ცნობა მოვიდა: მერქანმცოდნე-ანატომთა საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტი პროფესორი ვოლფრედ ა. კოდი იტყობინებოდა, რომ ქართველი მეცნიერი ელდარ ლობჟანიძე ერთხმად არჩეულია საერთაშორისო ასოციაციის ნამდვილ წევრად.

ეს იყო ახალგაზრდა მეცნიერის უდიდესი წარმატება. აღსანიშნავია, რომ მერქანმცოდნეობის საბჭოთა სკოლიდან ელდარ ლობჟანიძე მესამე მეცნიერია, რომელსაც ასეთი დიდი საერთაშორისო აღიარება ხვდა წილად.

აი კიდევ ერთი საგულისხმო ფაქტი.

ამ რამდენიმე თვის წინათ ნიდერლანდში შედგა ანატომთა მსოფლიო ასოციაციის ახალი ხელმძღვანელობის არჩევნები.

კანდიდატთა საარჩევნო ბიულეტენებში მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ოცზე მეტი ცნობილი მეცნიერის გვარი იყო შეტანილი.

მსოფლიო ასოციაციის საბჭოში მხოლოდ რამდენიმე მეცნიერი აირჩიეს. რაოდენ სასიხარულოა, რომ ამერიკელ, ინგლისელ, ავსტრალიელ, იაპონელ, ბრაზილიელ, შვეიცარიელ და სხვა ქვეყნების აღიარებულ მეცნიერთა შორის საბჭოთა კავშირიდან მსოფლიო ასოციაციის საბჭოს წევრად ჩვენი თანამემამულე — ახალგაზრდა სპეციალისტი ელდარ ლობჟანიძე აირჩიეს.

ეს წარმატება, უდაოა მერქანმცოდნეობის საბჭოთა სკოლის დიდ წინსვლას და მსოფილო აღიარებას ნიშნავს.



კომუნისტური პარტია, საბჭოთა მთავრობა ყოველთვის შეუნელებელ ყურადღებას იჩენენ ბუნების სიმდიდრის დასაცავად. საყოველთაოდ ცნობილია ის საგანგებო დადგენილებები, რომლებიც ტყეების დაცვის შემდგომ გაუმჯობესებას და ტყის რესურსების უფრო რაციონალურად გამოყენების ღონისძიებებს შეეხება.

აი სწორედ ამ საშვილიშვილო საქმეს ტყეების დაცვას, მათ აღდგენა-გაუმჯობესებას, ახალი კორომების გაშენებას, ჩვენი რესპუბლიკის ტყეებში მეურნეობის წარმოების მეცნიერულ დასაბუთებას ემსახურება თბილისის სატყეო ინსტიტუტი, რომელსაც გამოჩენილი მეცნიერი, აკადემიკოსი ვასილ გულისაშვილი უდგას სათავეში.

დედაქალაქიდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით, ლისის ტბას რომ გასცდებით, ტყეში ჩაფლული, თანამედროვე სტილით ნაგები სამსართულიანი შენობა შემოგეგებებათ. თირმეტი წელია რაც აქ, ამ ერთ-ერთ ულამაზეს კუთხეში, თბილისის სატყეო ინსტიტუტს დაუდვია ბინა.

ინსტიტუტის ყოველ კაბინეტში, ლაბორატორიაში, როგორც იტყვიან, ყოველ კუთხე-კუნჭულში ღრმა და საინტერესო მეცნიერული კვლევა-ძიება წარმოებს. ამჯერად ჩვენ მხოლოდ ამიერკავკასიაში ერთადერთი ანატომია-ფიზიოლოგიის და მერქანმცოდნეობის განყოფილება გვაინტერესებს: უფრო სწორად, ამ განყოფილების დამაარსებლის და ხელმძღვანელის, საქვეყნოდ აღიარებული ახალგაზრდა მეცნიერის ელდარ ლობჟანიძის ნახვა და გაცნობა გვინდა.

პატივცემული ელდარი დინჯი მასპინძელი გამოდგა.

ზის თავის სამუშაო მაგიდასთან. ერთ მხარეს მიკროსკოპი მიუმარჯვებია, მეორე მხარეს ერთმანეთზე შემოწყობილი რომელიღაც მცენარეების მერქნები დაუხვავებია და ლაკონურად პასუხობს ჩვენს შეკითხვებს.

ეს კია, მეცნიერი ცდილობს გაგვარკვიოს, რაც შეიძლება ნათელი და გასაგები გახადოს ჩვენთვის თავისი საუბარი.

ჩვენს პატარა რესპუბლიკაში თურმე 350-მდე მერქნიანი ხის და ბუჩქის სხვადასხვა სახეობა ხარობს. ამ უამრავ სახეობიდან დიდი ნაწილის მერქანი ჯერ კიდევ მეცნიერულად შეუსწავლელია.

ტყემ, როგორც ძვირფასი ნედლეულის — მერქნის მომცემმა წყარომ და ბიოსფეროს მაცოცხლებელმა ელემენტმა, უკანასკნელ ხანებში განსაკუთრებული ცხოველი ინტერესი გააღვივა მერქნიან მცე-

ხარეთა ანატომია-ფიზიოლოგიის, გენეტიკა სელექციისა და ეკოლოგიის შესწავლისადმი.

ახალგაზრდა მეცნიერი ადგენს შესასწავლი სახეობების ანატომიერ სტრუქტურას, მერქნის ფიზიკურ-მექანიკურ თვისებებს, სავეგეტაციო პერიოდში მისი ჩამოყალიბების ხასიათს, იკვლევს ზოგიერთი შეუსწავლელი მერქნის გამოყენების პერსპექტივებს ხის დამამუშავებელ წარმოებაში.

გულმოდგინე მეცნიერული შრომით თანდათან დგინდება ყინვაგამძლე, სწრაფმზარდი და მაღალპროდუქტიული ჯიშები, შეუსწავლელი ჯიშების მერქნის გამოყენების პერსპექტივები, ზუსტდება ახალი ტყეების გაშენების, სხვა ქვეყნებიდან საქართველოში უცხო ჯიშების შემოტანის და გავრცელების დასაბუთებული მეთოდები.

იმის საილუსტრაციოდ თუ თავდადებული შრომის, მეცნიერული კვლევა-ძიების შედეგებს რა პრაქტიკული გამოყენება და სარგებლობის მოტანა შეუძლია ჩვენი სახალხო მეურნეობისათვის — მხოლოდ ერთი მაგალითის მოყვანით დავკმაყოფილდებით.

სხვადასხვა მუსიკალური ინსტრუმენტებისა და ძვირფასი დეკორატიული საავეჯო მოსაპირკეთებელი ფანერის დასამზადებლად ჩვენ ქვეყანაში დიდი რაოდენობით შემოაქვთ უცხოეთიდან „მაკაგონის" შავი ხისა და სხვა ჯიშების ძვირფასი მერქანი.

ახალგაზრდა მეცნიერის ცდებით დადასტურდა, რომ ეს ძვირადღირებული იმპორტული მასალა თავისუფლად შეიძლება შეიცვალოს ჩვენებური დიადი ბოყვის, ჭადრის, თხილისა და კავკასიური ხურმის მერქნით. ამ მეცნიერულად დასაბუთებული სიახლის წარმოებაში დანერგვა, ცხადია, მნიშვნელოვნად გაზრდის აღნიშნული მოხმარების საგნების წარმოებას და დიდ ეკონომიკურ ეფექტს მოგვცემს.

სწორედ ასეთ მეცნიერულად შესწავლილ და დასაბუთებულ პრობლემებს უძღვნა ელდარ ლობჟანიძემ თავისი 70-მდე შრომა.

ამ შრომებმა უკვე საერთაშორისო აღიარება მოიპოვა.

ამას წინათ ოქსფორდის უნივერსიტეტის სატყეო დეპარტამენტმა თარგმნა და გამოსცა ქართველი მეცნიერის ელდარ ლობჟანიძის სამი ნაშრომი დენდროკლიმატოლოგიის პრობლემებზე.



ელდარ ლობჟანიძე.

ჩვენი თანამემამულის შრომები გამოქვეყნებულია საზღვარგარეთ და უხვადაა ციტირებული როგორც საბჭოთა, ისე ფრანგულ, გერმანულ, იტალიურ, ბულგარულ, ჩეხურ სპეციალურ ლიტერატურაში და მერქნის ტექნოლოგიის ამერიკულ სახელმძღვანელოებში...

— ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი! — ასეთი სიტყვებით გვემშვიდობება ახალგაზრდა მეცნიერი. და ჩვენ გვწამს, რომ შრომა და ნიჭი, მეცნიერული ალღო და სიმტკიცე, საქმის უზომო სიყვარული, დღენიადაგ ძიება, სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული კვლავაც ბევრის გაკეთებას შეაძლებინებს ელდარ ლობჟანიძეს.

**ნუნუ კუპრეიშვილი**



ასწავლის მერქნის სტრუქტურას.

# ლექსი

კოლაუ ნადირაძე

## ძველი რვეულიდან

(ნაპოვნი ლექსი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

### მომიახლოვდი და მიმაისე

მომიახლოვდი! მე მინდა ისევ
შენი სუნთქვა და ხმა მოვისმინო!
მომიახლოვდი და მიმაისე,
რომ წამით გიგრძნო და მოვისვენო!

მომიახლოვდი! ჯერ კიდით-კიდე
დაცვარულ ვარდებს მინდორში სძინავთ!
მომიახლოვდი! ჯერ გალობს კიდევ
რაც შენთვის ჩემში გალობდა წინად!

ო, მთვარე ჩადის! მაგ თვალთა ლაჟვარდს
დილის მზე სწრაფად მოსტაცებს სიღრმეს...
ჩააქრობს ვნების ელვას და ნავარდს,
გადაწვავს ტრფობის მთრთოლვარე სიმებს...

ჯერ კიდევ დროა! მზე ჯერ ხომ არ ჩანს,
ვარსკვლავთ ბაასი ცაში არ წყდება!
მინდა გადმოგცე რაც გულში ჩამრჩა...
იჩქარე, თორემ უკვე თენდება!

მომიახლოვდი, რომ წუთით ისევ
მაგ გულისცემის ხმა მოვისმინო!
მომიახლოვდი და მიმაისე,
შემოდი ჩემში, რომ მოვისვენო!

მაისი. 1918 წ.
ქუთაისი.

### ცრემლების მოკლე ამბავი

მიძღვნა

მე არ მენახა, სიტურფის გარდა,
შენი თვალები ცრემლებით სავსე.
ვერ გამიგია, რად შემიყვარდი,
რატომ მიყვარხარ, არ ვიცი ასე?!

ვიცი შორსა ხარ და არც გიყვარვარ,
აროდეს ჩემი რომ არ იქნები!...
და მაინც მუდამ მხოლოდ შენთან ვარ
ჩემი ოცნებით, ჩემი ფიქრებით.

ტიროდი. მე კი შენი ცრემლები
მსურდა შემესვა! გული დაღონდა,
რადგან არც შესმის და არც შეხების
უფლება, ვგრძნობდი, რომ არა მქონდა!

მაგრამ სინაზემ მწვავე ჩივილით,
ვით ტალღამ, ჩემში გაიშრიალა..
ეგ შენი დარდი, შენი ტკივილი
ჩემ გულმაც ცრემლით გაიზიარა!

ო, ვიცი ზოგჯერ, ეჭვი წაილებს
და ალბათ ხშირად გაოცებს ძლიერ:
რათ შემიყვარა, რატომ ვუყვარვარ,
პოეტს ესოდენ უფროსს და ხნიერს?!

ნურც დაფიქრდები, ნურც დაეჭვდები!
მე მუდამ ჩუმათ ვუმადლი გამჩენს,
რადგან მახარებს და გულით მინდა,
რომ სიყვარული ბოლომდე დარჩეს,
შენი ცრემლივით სუფთა და წმინდა!

1953 წ. თბილისი.

ბივი გოსტოლანაშვილი

# ჭლუნკა

ნამდვილი ამბავი

ალმასკომის კადრების განყოფილების გამგედ მუშაობისას ყოველდღიურად არაერთი შეხვედრა მქონდა უცნობებთან. მრავალიც მესმოდა მათი გაჭირვებისა თუ დალხინების შესახებ. მეც თანდათან შევეჩვიე და აღარაფერი მაკვირვებდა. მაგრამ ერთი კაცის ბედმა, ცოტა არ იყოს, ამაფორიაქა.

მას სულ სამჯერ შევხვდი.

უნებართვოდ შემოვიდა. მე რაღაც დადგენილებას ვეცნობოდი და მაშინვე არ მიმიქცევია ყურადღება. ცოტა ხანს ხმა არ ამოუღია, მერე ჩაიბუხუნა: სამუშაო მომთხოვა, სპეციალობა არ ჰქონდა. არც ეს არის იშვიათი შემთხვევა. ამგვარი ხალხი ჩვენს ქალაქში ბევრია და კარგი გამომუშავებაც აქვთ ქარხნებში, ფაბრიკებში, ავეჯისა თუ ბოსტნეულის მაღაზიებში, როგორც იტყვიან, შენ ქედი მითხარ, თორემ უღელი ყოველთვის მოიძებნება.

დამხმარე მუშად არ წავალ. ხეირიანი გექნება რამე. მაგალითად, მორიგედ ავტოსადგომში ან სადმე, მითხრა. ომის ინვალიდი აღმოჩნდა, თუმცა არ ჰგავდა ინვალიდს; საშუალო სიმაღლისა გახლდათ, ბეჭებგანიერი, ჯმუხი, სახე ფართო და სავსე, თვალები — ჯიუტი, ჰაღარა შეჰპარვოდა, ფიზიკურად მომუშავის ხელები ჰქონდა. კახური ქუდი კეფაზე ისე მოეგდო, სანახევროდ გამელოტებულ შუბლზე გადმოგდებული თმა უჩანდა, ცოტა არ იყოს ბრტყელი ცხვირის ქვეშ სქლად გაშვებულ ულვაშებს ქვედა ტუჩზე გადაებოტებინათ. ბოდბელი აღმოჩნდა. თვენახევრის წინ ჩამოსულიყო.

— გამაგებინე, რა მოგარბენინებდა ამ სიცხისაგან გაგუდულ ქალაქში? — ვკითხე.

ეტყობა, არ მოელოდა ასეთ შეკითხვას, დაიბნა.

— ეჰ, რა ვიცი, აბა, ყველას თავისი სატკივარი აქვს. ერთი ბიჭი მყავს. ვერა და ვერ ჩავიტყუე სოფელში. ცოლი არ მოსდევს. ორი ბავშვით ქირით ცხოვრობდნენ. უჭირდათ. შემომიჩნდნენ გოგოებიც, ორივენი აქ არიან დაბინავებულები: ცოლიც... თუ რამ გვებადა, გავყიდეთ: ძროხაც, სახლიც, ვენახიც. ერთი წესიერი ბინა მაინც არ მოვიდა. თუმცა შეიძლება შიგ ცხოვრება. თან ჩემი დედაკაციც სჭირდებათ. რძალი მუშაობს, ხომ იცი, ახლანდელი ქალები რა უნდილები არიან, ყველაფერი უძნელდებათ, ყველაფერზე წუწუნებენ. აბა, მე რაღა მექნა?. ეხლა კიდევ, იმდენი ხომ უნდა ავილო, რომ ჩემი თავი და დედაკაცი ვარჩინო? ბიჭს კიდეც რომ შეეძლოს ჩემი შენახვა, მაინც ვერ დავაწვები კისერზე; ჯერ კარგად ვგრძნობ თავს. პენსია კი გვაქვს, მაგრამ მარტო პენსია აბა რას გვეყოფა ამ ალმურმოდებული ბაზრის შემყურე?!

— ყველა რომ ასე გამოიქცეს, იქ ვიღა დარჩება? — ჩავილაპარაკე.

თითქოს ინანა გულის გადაშლაო, მტკიცედ დაუმატა:

— ამ საერთო ჭირზე მე რა პასუხისმგებელი ვარ? მეცხვარეობითაც დავილალე. ქვეყანა მოდის, რაღა მე არა მქონდა ამის უფლება?!

მივხვდი, ისეთი სამუშაო უნდოდა, ხელფასის გარდა „სახარჯოც" ჰქონოდა; რაც მთავარია, იურიდიულად მართალი გახლდათ: ომის ინვალიდებს პირველ რიგში ეკუთვნოდათ ასეთი, ერთი შეხედვით, იოლი სამუშაო, სადაც ფიზიკური დატვირთვა უფრო ნაკლები იყო.

— ასეთი ვაკანტური ადგილების შესახებ ჩვენ, სამწუხაროდ, ცნობებს არ გვაწვდიან! — ვუპასუხე გულწრფელი სინანულით.

— ვითომ რატომ არ გაწვდიან? — შორს დაიჭირა მან და უნდობლად, დაჟინებით ჩამკითხა, — გამოდის, რომ შენ ამ საქმეში არავითარ მონაწილეობას არ იღებ. ვინ დაიჯერებს მაგას?!

— ჩემი მონაწილეობა ფორმალურია. საგზურებს ვაძლევ მხოლოდ.

— კაცო, შენ გამაგზავნე და მერე რამდენიც გინდა ფორმალური უძახე! — გაიცინა მან.

— აი, რაშია საქმე. ახლა რომ მე გაგაგზავნო, მაგალითად, საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოში, შენ უარს გეტყვიან, ადგილი არა გვაქვსო. მაგრამ იმას, ვისი მიღებაც უნდათ, ეტყვიან საგზური მოგვიტანე და მიგიღებთო. მეც ვაძლევ, რითაც შრომითი მოწყობის გეგმას ვასრულებ. იქ რატომ ხდება ასე, ეგ არ ვიცი. წადი და თუ შენც [illegible] გეტყვიან, დიდი სიამოვნებით, — თანამდებობას გაგვენებადი საქმის კურსში.

— ვიყავ, მაგრამ უარი მითხრეს. ამიტომ მოვედი შენთან. იქნებ, დარეკო და დაავალო?! — ის მაინც თავისაზე იდგა.

— კარგი, დავრეკავ!

ყურმილი ავიღე, კადრების განყოფილების გამგედ ქალი მუშაობდა. ვთხოვე, ასეთი და ასეთი კაცია, იქნებ რაიმე გაქვთ-მეთქი. ვიცი, ეგ ჩემთანაც იყო, მაგრამ არაფერი გვაქვს. თუ რაიმე გამოჩნდა, შეგატყობინებთო.

რა თქმა უნდა, მშვენივრად მესმოდა, რომ იგი არაფერსაც არ შემატყობინებდა. ასეც ავუხსენი. მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, იხტიბარი არც ახლა გაიტეხა.

რაკი ვერა და ვერ დავაჯერე, ახალგაზრდობის შრომითი მოწყობის კომისიის მდივანი გამოვიძახე.

შემოვიდა, ვანიშნე, ჩვენს გვერდით მაგიდასთან დამჯდარიყო.

— ნათია, სადმე მორიგის ადგილი ხომ არა გაქვს პროფილაქტორიუმში, ავტოსადგომში ან რაიმე ამგვარი. ეს კაცი ომის ინვალიდია და უნდა დავეხმაროთ!

— კი, როგორ არა, საავადმყოფოში გვაქვს მეკარის ადგილი! — სიცილით თქვა მან, — ახალგაზრდები არ მიდიან, რამდენიმემ უარი განაცხადა.

მეგონა ხუმრობდა, უნდობლად შევხედე, მაგრამ სახუმარო ვერაფერი შევატყვე. ამიტომ, ცოტა არ იყოს, მკაცრად ვკითხე:

— მართალს ამბობ? — გაკვირვებულმა დავუწყე ცქერა. წლების მანძილზე მიღებული საკუთარი გამოცდილებით ვიცოდი, არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, ასეთი ვაკანსიების შესახებ ეცნობებინოთ. ჩვენ გვთხოვდნენ კვალიფიციურ და დამხმარე მუშებს, ინჟინრებს, უფროს და მთავარ ეკონომისტებს, მთავარ და რიგით ბუღალტრებს, ყველას, რომელთა ნაკლებობა იგრძნობოდა, მაგრამ ასეთებს არასოდეს.

— იგე, ხომ გეუბნებოდი, რას მიმალავდი, შე კაი კაცო. განა ისე მინდა, პატივისცემა ჩემზე იყოს! — ჩაურთო ნიშნის მოგებით მიხამ.

ახალ-ახალი ამბები

## ორიგინალური მოწყობილობა

კაუნასის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სწავლულებმა შექმნეს ორიგინალური მოწყობილობის ავტომატი, რომელსაც წარმატებით იყენებენ სამკურნალო ტალახის დოზირებისა და შეფუთვისათვის.

ამ სიახლემ კურორტოლოგებს საშუალება მისცა დაემუშავებინათ ოჯახის პირობებში ბალნეოლოგიური მკურნალობის მეთოდიკა.

პაციენტებს ახლა შეუძლიათ პოლიეთილენის პაკეტებით შეიძინონ სამკურნალო ტალახი და შინ ჩაატარონ მკურნალობა.

## 1000 წლის წინათ

უზბეკეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში უძველესი ქალაქის აფრასიაბის გათხრების დროს აღმოაჩინეს სპილოს ძვლისგან გამოთლილი ჭადრაკის პაიკი.

სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ ეს პაიკი დამზადებულია... 10 საუკუნის წინათ.

## ლენინის ქალაქი

ლენინგრადის მოსახლეობამ ამას წინათ 4.500.000-ს მიაღწია. ლენინგრადი ჩვენს დიად სამშობლოში, მოსკოვის შემდეგ, ყველაზე დიდ ქალაქად რჩება.

## სულ მალე...

მოძმე ბელორუსიის დედაქალაქ მინსკში ამას წინათ დაიწყეს ახალი აეროპორტის მშენებლობა.

თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი კეთილმოწყობილი აეროპორტი სულ მალე მომსახურებას გაუწევს შიდასაკავშირო და საერთაშორისო საჰაერო მარშრუტებს.

## ავტომატური კომპლექსი

ლენინგრადელმა სწავლულებმა, სოციალისტური ქვეყნების სპეციალისტებთან ერთად, შექმნეს ავტომატური კომპლექსი, რომელიც ელექტრომაპროგრამირებელი მოწყობილობით არის აღჭურვილი.

მისთვის ყურადღება არ მიმიქცევია, ისევ დაეჭვებული მივჩერებოდი ნათიას.

თურმე ორი დღის წინ, ჩვენი ალმასკომის თავმჯდომარეს დილით რაიონის შემოვლა რომ დაუმთავრებია, საავადმყოფოში შეუვლია. დარაჯს ქვა აუგდია და თავი შეუშვერია, ვერ გაგიშვებ, თუ მანეთს არ მომცემ, ჩვენ აქ განა თივასა ვჭამთო. არ ცნობებია თურმე, ოცდახუთმანეთიანი მაქვსო. არა უშავს, დაგიხურდავებო. გამოურთმევია, ოცდაოთხი ცალი მანეთიანი დაუბრუნებია. თან დაუყოლებია, რუბენას მანეთიანებს ხომ ვერ ვაკადრებო (სამეურნეო ნაწილის გამგეზე).

თავმჯდომარეს იქვე გამოუძახია მთავარი ექიმი და ორივენი მოუხსნია. თქვენ აქ არ იყავით, მე დამავალა, წესიერი კაცი გაგზავნეთო. გუშინ მთავარი ექიმიც მელაპარაკა. — მითხრა ნათიამ.

კაცს საგზური შევუვსე და გავისტუმრე.

...მეორედ ორი კვირის შემდეგ მოვიდა. სალამო მშვიდობისა მისურვა, ხელი ჩამომართვა. ერთმანეთი მოვიკითხეთ.

სალამო იყო, ღია ფანჯრიდან, რომელიც მანქანებით გადატვირთულ, ხალმხრავალ ქუჩას გადაჰყურებდა, ხმაური გუგუნად იჭრებოდა. მივედი, ფანჯარა დავხურე, სინათლე ჩავრთე.

იჯდა და არაფერს ამბობდა. რაღაც კი უნდოდა.

— ხომ არაფერი გსურდა? — ვკითხე.

— ისეთი არაფერი! — ცოტა ხანს იყოყმანა, ჯიბეში ხელი ჩაიყო, ადგა, ჩემსკენ წამოვიდა, სახეზე ალმურმა გადაჰკრა და ცდილობდა, ჩემ ჯიბეში ფული ჩაედო.

— არ იფიქრო, ქრთამს გაძლევდე, პატივისცემა მიიღე უბრალოდ...

ფული უკანვე წავაღებინე, დავსვი და ნაწყენმა ვკითხე:

— რატომ მაყენებ შეურაცხყოფას?!

— შინაურებმა შემაცდინეს. პატივი ეცი და პატრონი გეყოლებაო! — შეცბუნდა, — პური მაინც გვეჭამა ერთად. უარი არ მითხრა, როცა გინდოდეს ამ დღეებში. ოციოდე ცხვარი მყავს მთაში. ჯერ არ დამიყიდნია. აპრილში ერთი ნალიტა ბატკანი გაჩნდა. ძმასთან დავტოვე. გამომიგზავნა. კარგი გამხდარა. ღვინოც კარგი მაქვს. თუ გინდა მინდორში გავიდეთ, თუ გინდა სახლში. ამხანაგები წამოიყვა!

როგორც იყო დავარწმუნე, რომ არ ღირდა შეწუხება. დიდად ეწყინა.

— ეტყობა, გიძნელდება ქალაქში ცხოვრება?

— გიძნელდებაო? მიძნელდება რომელია. ცხვარი მაგონდება ხშირად. ძველი სარქალი ვარ. ჩემი სურათი საპატიო დაფაზე ეკიდა უცვლელად. ალბათ, ჩამოხსნიდნენ უკვე. უჩემოდ როგორ არიან ნეტავ ბიჭები?! რომ მოვდიოდი, თვალს აღარ მისწორებდნენ. ძაღლებიც ისე ყმუოდნენ, თითქოს სიკვდილს ვაპირებდი.

ერთი თვის შემდეგ ისევ მინახულა. წასვლა მინდა სამუშაოდან და უშენოდ არ მიშვებენო.

— რატომ მიდიხარ? — ვკითხე გაოცებულმა.

— აბა, ეს რა სამუშაოა, — სევდიანად დაიწყო, — რაც მაგ საქმეზე დავდექ, არც ერთი ღამე არა მძინებია წესიერად. როგორც კი ჩამეძინება, მესიზმრება: თითქოს ქუჩაში ვდგავარ, ხალხმრავალ ქუჩაში, ხელში თუშური ქუდი მიჭირავს და გამიკითხე-მეთქი ვეხვეწები გამვლელ-გამომვლელთ. ისინიც, ერთნი ზიზღით შემხედავენ, მეორენი — სიბრალულით, მესამენი — გულგრილად, მეოთხენი — სიამაყით და ხურდა ფულს მიყრიან შიგ. ჰოდა, როგორც კი აჩხრიალდება ეს სატიალე ხურდა, მაშინვე მეღვიძება... შევცდი. მე მაგის კაცი არა ვარ, ეტყობა... — თქვა და გაჩუმდა, მოიწყინა.

სახეში ვუყურებდი. თვალი ამარიდა, სადღაც ზევით გაიხედა, შეწუხებული სახე ისევ მკაცრი გაუხდა და მითხრა:

— ომში, ფრონტზე მოენეებზე ვნადირობდი. დიდების მესამე მივიღე. აქ კი, კინაღამ... მათხოვრად ვიქეცი. ჩემი თავი შემეჯავრა! — ამოიოხრა, — პირშიც გამაგონა ერთმა; მანეთიანი არა ჰქონდა და მეორემ, სამმანეთიანი მიეცი მაგ მათხოვარსო...

მცირე ხანს იყუჩა და ისევ განაგრძო:

— ეგეც არ იყოს, რა მაქვს დასამალი, მივხვდი, ჩემნაირი კაცისათვის ძნელია აქ ცხოვრება. ბაზარში წავალ ხოლმე, იქნებ ჩვენებური ვნახო ვინმე-მეთქი. ჩემი რძალი ჩამამიწერამს საყიდლებს: ორმოცდაათი გრამი ქინძი, ასი გრამი ოხრახუში, ამდენივე სტაფილო, ერთი კონა თვის ბოლოკი, ერთიც — წიწმატი, ერთი პატარა ჭარხალი, ერთი გირვანქა კომბოსტო, ოცდაათი გრამი ნიახური, ორი კილო ხახვი, ერთი თავი ნიორი და ეგრე გაუთავებლად... ერთი შეგახედა, ის რომ კერძს აკეთებს, როგორ ბეჯითად არჩევს ღერებს, ზედმეტი არ გადამიყვესო. ერთ ბლუჯა მწვანილს მაგიდაზეც აწყობს. ან ცოდვით რა მაჭმევს ამ მისხალ-მისხალ ნაწონ და ნაყიდ სანოვაგეს. ყველა ეგრე ეწევა დიასახლისობას თბილისში-მეთქი, ერთხელ ვკითხე. კიო, ვინც ხელფასით ცხოვრობსო. იმის გამო, რომ თვალ[illegible] გაუმაძღარმა ატარონ წუთისოფელი, [illegible]ტომ ემუნათებათ ამ დალოცვილებს სოფელი, სადაც ყველაფერი აუწონავი და აუზომავია, ნეტავი?!. კარგი, [illegible] მაინც ახალი ოჯახია. ჩემ მძახალთან ვიყავ ამას წინათ. სტუმრები ჰყავდა. მას რომ ჰკითხო, კარგად ცხოვრ[illegible] [illegible]ხიან, სასწორს „ჩაჰქრავს“ ხოლმე თავის სასარგებლოდ. [illegible] — წამოვიდა ჩვენი სოფლიდან და თავისი დღენი მაღაზიაში დახლის ბიჭობას ეწევა. ხუმარა ვინმეა და მითხრა: ბიჭო მიხავ, სოფლელი კაცი ხარ, არ დაიმორცხვო და მშიერი არ დარჩე; საჭმელს ხომ არ მიწუნებ, ემაგ ხიზილალაში იცი რა მიმიცია, ხაშლამა კი სულ მკერდისა და ბეჭის ნაჭრებიაო. არც მე შევარჩინე: შე კაი კაცო, ჯერ ერთი ამ პაწაწინა თეფშზე ეს შავი რაღაცა წაგიგლესნია, მე რომ შევჭამო, სხვას რაღა დარჩება. ხაშლამაზე კი მადლი მომიხსენებია! აბა, მე რა მესწავლება ამ საქმისა-მეთქი. ბევრი იცინეს, ჩემი გოგო კი ნაწყენი დამრჩა. არადა, რა არის ამდენი მოჩვენებითობა და თვალთმაქცობა... ეეჰ, საქალაქე კაცი არა ვარ, არა! ამას წინათ ჩვენი თავმჯდომარე გადამაწყდა სამსახურში, ვილაცის სანახავად ჩამოსულიყო. რა გაქვს საამისო, დაბრუნდი, სასახლესაც მოგცემ და სავენახესაცო. ჰოდა, მეც გადავწყვიტე, სოფელში მივტრიალდე ისევ!

— იქ ხომ ყველაფერი გაყიდე, ხელახლა გაგიჭირდება!

— არა უშავს. ოცდაშვიდი წელიწადი დავდიოდი ცხვარში. ერთი ათი წელიწადი კიდევ შევძლებ. გაზაფხულზე კედლებს ჩავდგამ, ვენახსაც ისევ გავაშენებ, კერა მექნება და მეც ისევ კაცი ვიქნები. სოფელსაც გაუხარდება... ერთი მეზობელი მყავს, ნასწავლი კაცია, მასწავლებელი, ის იტყვის ხოლმე: სოფელი რომ ქალაქივით კეთილმოწყობილი გახდება, მაშინ თბილისიდან ხალხი სოფელში დაიწყებს გადმოსახლებასო. მართლა თუ ეგრე იქნა, რომელიმე ჩემი შვილიშვილი რომ დაბინავდეს იქა, მაშინ ხომ მთლად ბედნიერად დავლევ ამ წუთისოფელს...

მართალი ყოფილა: მტერმორეული სჯობია საქმემორეულ კაცსა. საქმემორეული — ღორდმორეულს, მაგრამ თავმოყვარეობა დაკარგულს კი — ყველანიო! — მითხრა გამოთხოვებისას.

---

ეს ორიგინალური კომპლექსი საშუალებას იძლევა აიწყოს, ჩალაგდეს და კორექტურა გაუკეთდეს დასაბეჭდ ტექსტებს მსოფლიოს ათ ენაზე.

აღსანიშნავია, რომ ამ დანადგარის სიჩქარე 10-ჯერ აღემატება გამოცდილი ლინოტიპისტის მუშაობის სიჩქარეს.

## იაპონური წერო

ორიონტოლოგებმა ამას წინათ შორეულ აღმოსავლეთში აღმოაჩინეს გადაშენების გზაზე დამდგარი ულამაზესი ფრინველის—იაპონური წეროს ბუდე.

დაკვირვებამ ნათელყო, რომ უიშვიათესი ფრინველი კარგად შეეგუა თავის ახალ გარემოს. სპეციალისტებმა გადაწყვიტეს, ამურის ცენტრალურ ნაწილში მოაშენონ და გაამრავლონ იაპონური წეროები.

## მათი წვლილი

ოლიმპიადა — 80-სათვის მოსკოველმა მეყვავილეებმა უკვე დაამუშავეს 160 პროექტი ჩვენი დედაქალაქის სკვერების, ბაღების, პარკების, ბულვარების ყვავილებით შესამკობად.

## აკლიმატიზაცია

კასპიის ზღვის აუზში წარმატებით გაიარეს აკლიმატიზაცია წყნარი ოკეანის კეტებმა.

კასპიის ზღვის შუა ნაწილში ამჟამად იქმნება სპეციალური საწარმოოსააკლიმატიზაციო ბაზა, სადაც ქვირითისგან მილიონობით ლიფსიტას მიიღებენ და ზღვაში გაუშვებენ.

## ხალხური სიბრძნე

სპეციალისტთა ექსპედიციამ ამას წინათ დაამთავრა ჩუკჩების და ესკიმოსების ფოლკლორის შეგროვება-ჩაწერა.

ფოტოფირებზე აღბეჭდილია ნაციონალური ცეკვები, ჩაწერილია მრავალი ხალხური სიმღერა და ლექსი. სპეციალისტებმა ასეთ მდიდრულ ფოლკლორულ მასალებს ამ ადგილებში პირველად მოუყარეს თავი.

# ჩვენ მეცხვარედ დავიბადეთ!

თუშეთი სამ ხეობაშია ჩაფენილი. პირიქითა თუშეთი აწუნტიდან იწყება: აქედან სათავეს იღებს პირიქითის ალაზანი. აქაურ საძოვრებზე ზემო ალვანის ცხვრის ფარები ბალახობს ხოლმე.

გომეწრის ხეობაში ბორბალოს მთიდან მოედინება გომეწრის ალაზანი. მას უერთდება ორწყალისა და ჭანჭახოვანის ალაზანი.

ჩაღმა თუშეთის ხეობის ცენტრი ომალოა. აქვე, სოფელ შენაქოს ძირში, ერთდება პირიქითა ალაზანი და გომეწრის ალაზანი.

თვითმფრინავიდან თუშეთი ხელისგულივით გადაიშალა. უფსკრულები და მდინარეთა ხეობები ერთმანეთს ჩაჭკვრია. სტორი და ალაზანი სპირალივით ჩახვეულა ბუმბერაზ მთათა ნაპრალებში.

ოცდაათი წუთის საფრენია ომალომდე. მორბიან ბავშვები, წამსვლელნი. ფრიალებს თუშეთივით ჭრელი თავსაფრები. ახალ შენობებში სასტუმრო, კავშირგაბმულობის სახლი და მწყემსთა ბინებია. აქვეა საქონლის ბოსლები. ომალო კოპწია და ბუმბერაზ მთებშია ჩაფლული.

ქვემო ალვანის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ვახტანგ თორღვაიძემ წლევანდელი გეგმები გაგვაცნო და ცოტა რამ გვიამბო მეურნეობის ჩამოყალიბების თაობაზე.

1961 წლის სექტემბერში ალვანის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობა და ელდარის და ზემო ალვანის საბჭოთა მეურნეობების გაერთიანების შედეგად შეიქმნა; თორმეტი წლის შემდეგ კი ცალკე გამოიყო ქვემო ალვანის საჯიშე მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობა.

ძირითადი დარგი აქ, რა თქმა უნდა, მეცხვარეობაა, მაგრამ მეღორეობას, მეძროხეობას, მევენახეობა-მემინდვრეობას, მეფუტკრეობასა და მეხილეობასაც მისდევენ.

ამ სოფლებს ერთმანეთისაგან ძნელად განასხვავებთ: შენაქოს თავისი სიზვიადე აქვს, დიკლოს — თავისი. ორივე ქვემოალვანელ თუშთა სოფლებია; ხალხი ყველაზე მეტი ამ სოფლებში ტრიალებს. ქვემოალვანელთა ერთ-ერთი ფერმა დიკლოს ჯილასავით ადგას თავზე. მწყემსთა ბინასთან ღობეზე ცხვრის ტყავებია ჩამოფენილი. ცოტას გაივლით და დაინახავთ ჰეროს, თუშეთ-დაღესტნის საზღვარზე მდებარე სოფელს, სადაც ამჟამად ლეკები ცხოვრობენ.

ფათერაკებით აღსავსეა მთა. მეცხვარე ხშირად გვერდს ვერ აუვლის მათ. ფერდობზე ბალახობისას თუ ძლიერმა ქარმა დაჰბერა, შეიძლება ათობით ცხვარი კლდეზე გადაჩეხოს. მთა ცხვარს კი არა, ჯიხვსაც ამარცხებს ხოლმე. გაზაფხულობით რომ ფერდობებიდან ზვავი ჩამოწვება, თოვლი რომ დნობას დაიწყებს, აი მაშინ ნახეთ გასაჭირი. კლდის ბილიკებს თუ შეჰყვებით, თვალშეუდგამი კლდიდან მოგლეჯილ ვეება სიპებსა და ლოდებს დაინახავთ. არავინ იცის, როდის მოსწყდნენ ისინი. მდინარე ალაზანი გულამღვრეული ლოკავს და ლოკავს ტინს.

ბევრ ლოდს შემორჩენია იმ მწყემსთა სახელები, რომლებიც ჩვენი საუკუნის დასაწყისში აქ აძოვებდნენ ცხვარს. გაივლიდა მეცხვარე და სიპზე ამოკაწრავდა თავის გვარ-სახელს, თარიღს, დახატავდა, რაც სულს უფორიაქებდა... ვკითხულობთ ქვაზე წარწერებს და ჩვენ თვალწინ ცოცხლდებიან ლეგენდად ქცეულ მეცხვარეთა სახეები. ქვის წარწერები ტრაგიკულად დაღუპულთათვისაც გაუკეთებიათ. ასე და ამგვარად იწერებოდა მეცხვარეთა ისტორია.

ირგვლივ უნაპირო სიჩუმეა... მოჩანს დართლოს გადასახვევი. ვიწრო ხიდი. დიდი ხევი და მდინარე, ზვავდატანილი სახლები.

...სოფლის პირველსავე სახლთან ზემო ალვანის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის ფერმაშ(ი) დირექტორი და ვეტექიმი მოვიკითხეთ. სახლიდან გამოსულ ქალს სათქმელი არ ჰქონდა დასრულებული, რომ საშუალო ასაკის კაცმა გამოიხედა — მე ვარ ზემო ალვანის საბჭოთა მეურნეობის პირველი ფერმის ვეტექიმიო. ვეტექიმი ალექსი მიშიძე თავის საქმეზე, მწყემსთა ცხოვრებაზე ხალისით გველაპარაკება.

აი, ეს ტანმორჩილი, ახლად შემოსწრებული კაცი კი რეზო ცაძიკიძეა. იგი სამოცდაათიოდე წლის მწყემსია.

— ყველას როდი შეუძლია მეცხვარის ტვირთის ზიდვა, — გვეუბნება რეზო ცაძიკიძე, — ახალგაზრდებიდან ცოტანიღა მიდიან მწყემსებად. აღარ გვყავს ისეთი მეცხვარეები, ჩემს ჯეელობის დროს რომ იყო. ჩვენი ცხოვრება ისეთი დაუნახავია, ისეთ პირობებში გვიხდება ყოფნა, რომ ადამიანმა თავისი თვალით თუ ვერ ნახა, ისე არ დაიჯერებს, ვერ შეაფასებს ჩვენი შრომის სიძნელეს.... დაქცეული ბინების აღდგენაზე ახლა ბევრი ფიქრობს და ზრუნავს. მათ უნდათ აღადგინონ მთაში მიტოვებული თავიანთი საცხოვრებელი ადგილები და ფუძე. მაგრამ ჯერჯერობით ეს საქმე კარგად ვერ მიდის. მე ერთი კაცი ვარ ამ მთებს შუა ზამთარ-ზაფხულ გამოკეტილი...

რეზო ცაძიკიძე თავისი წინაპრების სოფელ დართლოში ატარებს წელიწადის ოთხივე დროს. სხვებსაც აქეთკენ მოუხმობს — მოაშურეთ თქვენს ნაფუძრებსო!

პირიქითა თუშეთში ზემო ალვანის ცხვრის ფარები ატარებს ხოლმე ზაფხულს. მეცხვარეობის ორი ფერმა 24 ბრიგადისგან შესდგება; პირველ ფერმაში 14 ბრიგადაა გაერთიანებული, მეორეში — ათი. მეძროხეობის ოთხ ფერმაში — ექვსი ბრიგადაა.

საქვეყნოდ გაითქვეს სახელი ვეტექიმმა ალექსი მიშიძემ და ლევან თურქოშვილმა, მოწინავე მწყემსებმა — ორდენოსანმა ძმებმა როსტომ და ომარ გაწირიძეებმა, შალვა და ვაჟა ლეკაიძეებმა, გოდერძი თათარიძემ. მიშა ომაიძე კარგი შრომისათვის მოტოციკლით დააჯილდოვეს, შრომის წითელი დროშის ორდენი აქვთ მიღებული სამოცდაათი წლის ექთო თავბერიძეს და ფორე ლეკაიძეს, სხვა მოწინავე მწყემსებიც ბევრნი არიან.

სოფელ გირევში სიპით ნაგები სახლებია ერთმანეთზე მიჯრილი, მათი უმრავლესობა დანგრეულია, სახურავჩამოწოლილი, მიტოვებული... ამჟამად აქ მხოლოდ ორი მოსახლე ცხოვრობს მუდმივად, სხვები მხოლოდ გაზაფხულობით ჩამოდიან ხოლმე.

გირევში ალვანელ მწყემსებს მეთერთმეტე ბრიგადის ცხვარი ჰყავთ. მწყემსთა ბინაში კერასთან ჩაცუცქული ბიჭი ცეცხლს აჩაღებდა. შემოგვხედა თუ არა, რამაზ სულაკაური, — ფილმ „თუში მეცხვარის“ ერთ-ერთი მთავარი მოქმედი გმირი ვიცანით. როგორც ფილმში, აქაც ისევ ისე ეშმაკურად ჰუტავდა ცალ თვალს რამაზი, გაგვიღიმა. უფროსი მწყემსი მაგიდას მისდგომოდა და პურის ცომს ზელდა.

ზემო ალვანის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობას აკი ვთქვით, მეცხვარეობის ორი ფერმა აქვს. პირველს კარლო ზარიძე განაგებს, მეორეს — ფიდო ქავთარაძე. ორივე ფერმაში 55 ათასი სული ცხვარი ბინადრობს.

— რაც ჩვენ გვაწუხებს, — გვითხრა მეურნეობის დირექტორმა შალვა თურქოშვილმა, — ის არის, რომ მწყემსები გვაკლია. ახალგაზრდობა სწავლას მიელტვის.. ვახორციელებთ გარკვეულ ღონისძიებებს მათი დაინტერესებისათვის, ცხოვრებისა და მუშაობის ნორმალური პირობების შესაქმნელად.

მეცხვარეების დიდი საზრუნავია შირაქიდან თუშეთის საზაფხულო საძოვრებზე მაის-ივნისში ცხვრის გადაყვანის საქმე. ტრასის უქონლობის გამო ცხვრის გადარეკვის პერიოდში დიდი რაოდენობის პირუტყვს იძულებით კლავენ, ანდა თვითონ წყდება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყველას დიდად ახარებს თუშეთში გზის გაყვანა. ისიც უნდა ითქვას, ზემოალვანელთათვის მაინც ხელმიუწდომელია, რადგანაც საავტომობილო გზა სოფელ დართლომდე არ მიდის. სასურველია, ახალი გზა წოვათა ალაზნის მიმართულებითაც გაგრძელდეს. ამით ქვემო ალვანის მეცხვარეობის მეურნეობა აიცდენს საჰაერო ტრანსპორტით ტვირთის ზიდვაზე საკმაოდ მნიშვნელოვანი ხარჯების გაღებას...

მოწოდებას — „მხარი ვუსწოროთ კომუნისტებს!“ — ფართოდ გამოეხმაურნენ ზემო ალვანში. კომკავშირულ კრებაზე ცხვარში მწყემსებად წასვლის საგზურები თორმეტმა კომკავშირელმა მიიღო. ბევრი მათგანი მეძროხეობისა და მეღორეობის ფერმებში სასახელოდ შრომობს და გადიდებულ ვალდებულებებს ასრულებს.

ახალგაზრდა მეცხვარის როსტომ გაწირიძის ბრიგადამ დაგეგმილი 82-ის ნაცვლად 100 ნერბზე 85 ბატკანი მიიღო, შალვა ლეკაიძის ბრიგადამ — 88 ბატკანი.

მეღორეობის ფერმის ბრიგადამ, რომელსაც ნაზი პეტრიაშვილი ხელმძღვანელობს (ბრიგადაში ძირითადად კომკავშირელი ქალიშვილები არიან), თითოეულ ქუბზე 13-ის ნაცვლად 20 გოჭი მიიღო.

კომკავშირელმა ქალიშვილმა თამარ ციskarი-შვილმა 1650 კილოგრამის ნაცვლად თითოეულ ძროხაზე 3000 კილოგრამი რძე მოწველა.

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ანა მოზაიძე, ლენინის ორდენოსანი მეცხვარე გიორგი ზარიძე ახალგაზრდების დამრიგებლები არიან, ისინი თავიანთ უნარსა და გამოცდილებას უზიარებენ ახალბედა მეცხოველეებს.

შალვა თურქოშვილმა ერთი მწყემსი გვიწინამძღვრა და დართლოდან ომალოსკენ გაგვაყოლა. ახალგაზრდა მწყემსი თუში მთქმელი გაბრო იდოიძე აღმოჩნდა. იგი მეტად მკვირცხლი, კეთილი და მხიარული ახალგაზრდაა, თერთმეტი წელი თურმე ცხვარში გაუტარებია. რვა კლასის დამთავრების შემდეგ მწყემსობა აირჩია. და-ძმებზე ზრუნვა, სამშობლოზე და ლექსზე ფიქრიც არ ასვენებს.

ავიღე ჯოხი და გუდა,
ცხვარს გავუძეხი წინაო.
დავტოვე ნაბდის ამარა
ნაწილარი და ბინაო.

ეს კომკავშირელი გაბრო იდოიძის სიტყვებია, რომელმაც ცხვრის მწყემსვას, ცხენის გახედნას, შრომას, ჯირითსა და ლექსის თხზვას გაატანა ბავშვობის წლები. ომალოში გაბრო იდოიძემ ჩვენი მისვლისთანავე სახელდახელოდ გარმონიც იშოვა და თავისი ლექსები დაამღერა...

უკან დარჩა თუშეთი. მაგრამ იქაურ მწყემსებზე, მათ შრომა-გარჯასა და გმირობაზე ფიქრი არ გვცილდება. თვალწინ გვიდგას დართლოელი რეზო ცაძიკაძე. გვაღელვებს მისი გულისტკივილი იმის გამო, რომ ახალგაზრდობა ნაკლებად ეტანება მწყემსობას, მაგრამ თუშეთის აღმშენებლობის დიდი გეგმები, რომლებიც რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ დასახა, დღითი დღე ხორცს ისხამს, ამ თვალწარმტაცი მხარის წინსვლის იმედს გვინერგავს.

იზა ჯაჟვაძე.







# კომკავშირული ქალაქი ბორის ძნელაძე






- ბორის ქნელაძის ძეგლი კომკავშირულ ქალაქში.
- კომკავშირული ქალაქის ერთ-ერთი კუთხე.
- კომკავშირული მუშაკები ლექციის შემდეგ.
- კომკავშირული ქალაქის კა-რიბჭე.
- ქალაქის სასტუმროში.

იოსებ დავითაშვილისა და მალხაზ დათიკაშვილის ფოტო.



პეიზაჟი.

# გურამ ქუთათელაძე



ქართველი ბიბლიოთეკა

ნატურმორტი.



თბილისის კუთხე.



სიღნაღის რაიონის წნორის მეძროხეობა-მესაქონლეობის სპეცია-
ლიზირებული საცდელი კომპლექსის მოწინავე კომბაინერი თა-
მაზ შათირიშვილი.

იოსებ დავითაშვილისა და
მალხაზ დათიკაშვილის ფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ანდრო აბაშიძის დღიურიდან



ანდრო აბაშიძე
1933 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადამიანები ყოველთვის დიდ ინტერესს იჩენენ არქტიკისადმი: მისი ათვისების ცდას დიდი ხნის ისტორია აქვს. სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა პირობებში ეწყობოდა ექსპედიციები, არქტიკულ წყლებში ტარდებოდა სამეცნიერო-დაკვირვებები.

ჩვენს ქვეყანაში არქტიკის ათვისება პირველი ხუთწლედის ბოლოსათვის კიდევ უფრო ინტენსიური გახდა, რაც გამოწვეული იყო ზღვაოსნობის თვალსაჩინო განვითარებით. საბჭოთა პრესა ყოველდღიურად იუწყებოდა ახალ პოლარულ ექსპედიციათა მუშაობაზე, მონაწილეთა გმირობასა და თავდადებაზე, მათ არაჩვეულებრივ გამძლეობაზე. ექსპედიციების მონაწილეთა ასეთი გმირობა და პატრიოტიზმი საბჭოთა ახალგაზრდობას აღაფრთოვანებდა და საგმირო საქმეებისაკენ მოუწოდებდა.

ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარ სამმართველოსა და არქტიკულ ინსტიტუტში ყოველდღიურად ასობით არქტიკის ექსპედიციებში მონაწილეობის მსურველი ახალგაზრდის განცხადება მოდიოდა.

ახალგაზრდა სპეციალისტებმა ანდრო აბაშიძემ და გიორგი ზედგინიძემ 1931 წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრებისთანავე სურვილი გამოთქვეს ჩრდილოეთში გამგზავრებაზე.

არქტიკაში მათ მუშაობის პირველი ნათლობა თეთრი ზღვის სანადირო ექსპედიციაში გემ „მალიგინზე" მიიღეს, შემდეგ კი 1932 წლის აპრილში გამოცდილი არქტიკელის ლეონიდ სტაროკადომსკის მოწვევით პირველ ჩრდილოაღმოსავლეთის პოლარულ ექსპედიციაში გაემგზავრნენ, ანდრო აბაშიძე ყინულმჭრელ „ლიტკეზე", ხოლო გიორგი ზედგინიძე — „სუჩანზე".

ეს იყო ჩრდილოეთის ნაოსნობაში პირველი გამჭოლი რეისი, რომელიც ერთ სანავიგაციო სეზონში უნდა დამთავრებულიყო.

ივნისში ექსპედიცია გაემგზავრა მარშრუტით: ვლადივოსტოკი—ოხოტის ზღვა, წყნარი ოკეანე—ბერინგის სრუტის გავლით ჩუკოტკის ზღვაში გასვლა ჩაუნის ყურე, საბოლოო პუნქტი ამბარჩიკის ყურე და კოლიმის შესართავები იყო; ექსპედიციის ფლაგმანი გახლდათ ყინულმჭრელი „ლიტკე".

ანდრო აბაშიძე საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმი ორმოცდახუთი წლის განმავლობაში უმწიკვლოდ ემსახურა მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის კეთილშობილურ საქმეს, იგი პრაქტიკულ საქმიანობასთან ერთად სამეცნიერო მუშაობასაც ეწეოდა. ანდრო აბაშიძე 20-მდე მეცნიერული შრომის ავტორია. იგი გარდაიცვალა 1975 წელს.

ექსპედიციაში ყოფნისას ანდრო აბაშიძე აწარმოებდა ექსპედიციის მსვლელობის ყოველდღიურ ჩანაწერს.

მან დაგვიტოვა დღიურები და მოგონებები. ეს მასალები ინახება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხალხთა მეგობრობის მუზეუმში.

გთავაზობთ ანდრო აბაშიძის ჩანაწერებს, რომელიც რედაქციის თხოვნით მოგვაწოდა ხალხთა მეგობრობის მუზეუმის მეცნიერთანამშრომელმა. ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატმა მზია ზაქარიაძემ.

●

1933 წლის ოქტომბრის პირველი რიცხვებია, „ჩელუსკინი" უკვე ჰორიზონტზე მოჩანს, რამდენიმე დღეა იგი ყინულის ტყვეობაშია, 22 სექტემბრიდან ვერ იძვრის ადგილიდან. მოდრეიფე ყინულს საბედნიეროდ, ბერინგის გასასვლელისაკენ მიაქვს, ყინულის სიგრძე-სიგანე დაახლოებით 2 კილომეტრამდეა, სისქე კი 7-10 მეტრამდე აღწევს. ჩვენი ქარავანი კი მიდის და ვშორდებით „ჩელუსკინს". გამოითქვა აზრი, რომ ყინულმჭრელი „ლიტკე" ჩელუსკინის დასახმარებლად წასულიყო, მაგრამ ოტო შმიტმა კატეგორიული უარი განაცხადა, ჩელუსკინელებს იმედი ჰქონდათ, საკუთარი ძალებით გაეკაფათ გზა; ვარაუდობდნენ, რომ ნავიგაციას სამ თვეში დაამთავრებდნენ და დაამტკიცებდნენ ლენინგრად-ვლადივოსტოკის ჩრდილო გზის გავლის შესაძლებლობას, რაც სამწუხაროდ, ისე ვერ განახორციელეს, როგორც მათ ჰქონდათ განზრახული.

15 ოქტომბერი. „ჩელუსკინიდან" ჩვენს გემზე გადმოყვანილ იქნა ექსპედიციის ცხრა წევრი. მათ შორის იყო პოეტი ილია სელვინსკი, „პრავდის" კორესპონდენტი, ექიმი და სხვები. ერთი კვირის მუშაობის შემდეგ ყინულის ნაწილი აფეთქებულ იქნა, „ჩელუსკინი" ყინულის ტყვეობიდან განთავისუფლდა. ეკიპაჟის წევრებს იმედი მიეცათ თავისით განეგრძოთ წინსვლა, რაც განახორციელეს კიდეც. მათ გაიარეს სერცე კამენის კონცხი, უკვე უახლოვდებოდნენ ბერინგის სრუტეს, სრუტემდე დარჩენილი ჰქონდათ 60 კილომეტრამდე.

15 ოქტომბერს „ჩელუსკინიდან" გადმოსული ექსპედიციის წევრთა ჯგუფი ჩვენთან იყო სტუმრად. ილია სელვინსკი ჩემ ორადგილიან კაიუტაში მოეწყო. იგი ხშირად კაიუტკამპანიაში გამართულ საღამოებზე საკუთარი ლექსებით გამოდიოდა, რომელსაც თავისებურად სიმღერით კითხულობდა; სასიამოვნო იყო აგრეთვე ჩვენი მეგობრული დამოკიდებულება. ილია ძლიერ შტორმს ვერ უძლებდა, ცუდ გუნებაზე იყო. მე ვეხუმრებოდი: გავაჩერებთ გემს, გადადი და ფეხით იარე-მეთქი. იგი ნირწამხდარი იღიმებოდა.

17 ოქტომბერი. დეჟნევიდან დილით გასული გემი საღამოთი სერცე კამენს აღწევდა. ყინული გაუვალი იყო. ჰქროდა ჩრდილო დასავლეთის ქარი, რომელიც ყინულს ზღვაში გამოჩენილი კონცხიდან ერეკებოდა. რის შედეგადაც კონცხის ერთ მხარეზე იქმნებოდა ყინულთ გროვა, ანუ ტოროსი, ნეორე მხარეზე — კი სუფთა წყალი. ყინულის მოედანი ვრცელი იყო. წინ სვლა შეუძლებელი შეიქმნა. იძულებული ვიყავით. გემები ყინულზე დაგვემაგრებინა. ყინულზე დამაგრებული რვა გემი, თავლაში დაბმულ ცხენებს მოაგოგონებდათ. ლუზა ამოვწიეთ, ასეთ შემთხვევაში ლუზაზე დგომა არშეიძლება, ვინაიდან ყინულის მოძრაობის დროს ლუზის ბაგირის გადაჭრის საშიშროება იქმნება. ზღვაში ლუზის დაკარგვა კი ყანაში უთოხოდ წასვლას ნიშნავს. ყინული, რომელზედაც ჩვენ ვიყავით მიმაგრებული. ნელა მოძრაობდა ჩვენც მოპირდაპირე მხარეს — დეჟნევისაკენ მივყავდით. შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით ხშირად იმართებოდა კრებები. რომელსაც ესწრებოდნენ გამოცდილი არქტიკოსები, კაპიტნები. იყო მსჯელობა. როგორ დაგვეღწია თავი ყინულისაგან. 1932 წელს, როდესაც „სიბირიაკოვი" ყინულმა გაიტაცა და დეჟნევთან მიიტანა, ეს დრეიფი მათთვის იღბლიანი გამოდგა — საითაც გზა ჰქონდათ, ყინულმა იქით წაიყვანა. მაგრამ ახლა სულ სხვა მდგომარეობაა.

კოლიმის ექსპედიციის ორი გემი „სვერდლოვსკი" და „ლეიტენანტი შმიდტი" უკვე იდგნენ კოლიუჩინის გუბესთან... წინსვლა არ შეიძლება; ისინი ნელ-ნელა მოძრაობენ ყინულებთან ერთად, ხან აღმოსავლეთით, ხან კიდევ — სულ სხვა მიმართულებით. გარკვეული კურსი მათთვის არ არსებობს. „სვერდლოვსკი" და „შმიდტი" ერთმანეთთან ახლოა (მათ შორის რამდენიმე ათეული საჟენი იქნება). „ჩელიუსკინი" კი შორს არის, სადღაც ზღვაში და ცდილობს, როგორმე თავი დააღწიოს ყინულს.

24 ოქტომბერი. „სვერდლოვსკი" უკვე მიუახლოვდა „შმიდტს". 10 მილია მათ შორის. იწყება დრეიფი. გემები თანდათან მიიწევენ დეჟნევისაკენ. ყინულმჭრელმა „ლიტკემ" ნაწილობრივ შეასრულა თავისი დავალება — 1932 წლის ექსპედიციაში მონაწილე ხუთი გემი სამშვიდობოზე გამოიყვანა. ახლა ნახშირს იღებს. „სვერდლოვსკისა" და „შმიდტის" დასახმარებლად უნდა გაეშუროს. „სვერდლოვსკი" დეპეშას იძლევა. რომ საქმე ცუდად არის. ყინულის შუჯგუფებამ გემი ზევით ამოსწია, სიმძიმის ცენტრის დაკარგვის გამო 35 გრადუსით გვერდზე არის გადახრილი. გემზე სიარული გაძნელდა — ერთი ფერდიდან მეორეზე რომ გადადიხარ, თითქოს მთაზე ადიხართ. გავემართეთ დასახმარებლად. ყინულს გემები ჩვენსკენ მოაქვს.

29 ოქტომბერი. იკიგურის კონცხამდე მივაღწიეთ. მთელი მიდამო ნისლით არის დაფარული, წინსვლა შეუძლებელია. „ჩელუსკინი" ჩვენს გვერდით აღმოჩნდა. „შმიდტი" — ჩრდილოეთით ათი მილის მანძილზე. „სვერდლოვსკმა" ვერ მიაღწია იკიგურამდე, რადგან ამინდი უარესობისკენ შეიცვალა. მათი ძებნა ყინულებში შეუძლებელი იყო. „ჩელუსკინი" დახმარებას არ თხოულობს.

„ლიტკე" უკან დაბრუნდა. მათი დახმარების გარდა ყინულმჭრელს სხვა მრავალი დავალებაც ჰქონდა. უელენიდან გემ „ანადირის". „ხაბაროვსკსა" და „სევერიდან" წამოყვანილი ავადმყოფები უნდა



ყინულმჭრელი გზას იკვლევს.

მოგვეხსნა. ვინაიდან ზოგი უკვე მეორედ ზამთრობდა და მათ შორის ნაწილი სურავანდით (ცინგით) იყო დაავადებული, ისინი განსაკუთრებულ კვებას საჭიროებდნენ, ჩრდილოეთში კი ამის საშუალება არ იყო. ზოგი თვითმფრინავით, ზოგი მარხილებით (რომლებშიც ძაღლები იყვნენ შებმული), უელენში გადმოვიყვანეთ ეს ხალხი „პროვედენიეს“ ყურეში უნდა გადაგვეყვანა, სადაც მათ წასაყვანად სამგზავრო გემი უნდა მოსულიყო. მათთან ერთად იყვნენ ჩვენი სტუმრებიც — „ჩელუსკინიდან“ მოხსნილი ცხრა კაცი. დაზამთრების დროს რაც უფრო ნაკლებია მოზამთრეთა რიცხვი, მით უკეთესია ზამთრობა, მითუმეტეს „ჩელუსკინელებისათვის“.

მოყინულ მოედანზე ყოფნის დროს ხშირად გვიხდებოდა ყინულიდან ყინულზე ხტომა, რაც ხშირად ზღვაში „ბანაობით“ მთავრდებოდა. სიკვდილი მოსალოდნელია ყველგან, აქ, შეუსწავლელ არქტიკაში კი მითუმეტეს. დღეისათვის ჩვენ ბევრი რამ შევისწავლეთ. თუ რამდენიმე ათეული და ასეული წლის წინ ადგილი ჰქონდა ექსპედიციების (რომელთა შემადგენლობაში 30-40 კაცი შედიოდა) უგზოუკვლოდ დაკარგვას, ცინგით დაავადებით სიკვდილიანობას, 1932 წლის ზამთრობაზე, რომელშიც მონაწილეობას იღებდა 300 კაცი, არც ერთი მსხვერპლი არ ყოფილა. ყოველ ღონეს ვხმარობთ, ყინულში მყოფთა გადასარჩენად.

არქტიკას დღეს თუ არა, ხვალ დავიპყრობთ!

●

ჩრდილოეთის მთელ სანაპიროებსა და კუნძულებზე არსებობს რადიომეტეოროლოგიური სადგურები, რომლის საშუალებითაც შეგვიძლია მივიღოთ ცნობა, სად როგორი ამინდია. არის ავიადრომები; ზაფხულობით თვითმფრინავით შეგვიძლია ყინული დავზვეროთ.

30 ოქტომბერი. დრეიფში მოხვედრილი გემები დეჟნევს უახლოვდებიან. „ჩელუსკინი“ უელენთანაა — ყინულის მოედანზე მიყინული, დეჟნევისაკენ მიეშურება.

1 ნოემბერი. „სვერდლოვსკი“ და „ლეიტენანტი შმიდტი“ გასცდნენ დეჟნევს და პროვიდენიაში მივიდნენ. გაიმართა შეხვედრა, დიდი ზეიმი. პირველი შემთხვევაა, რომ ამ დროს პოლარული ზღვიდან გემი გამოსულიყოს.

საბჭოთა მეზღვაურებს წინ არაფერი დაუდგებათ!

გემებს შეკეთება სჭირდებათ, შემდეგ კამჩატკისა და პეტროპავლოვსკისაკენ გაემართებიან.

„ჩელუსკინი“ ამ დროს ბერინგის სრუტისაკენ შებრუნდა. ყინულმა კურსი პრივედენიისაკენ აიღო...

3 ნოემბერი. გემი წმინდა დიომიდეს კუნძულს უახლოვდება, ყინული თანდათან იკლებს.

4 ნოემბერი. დილაა. „ჩელიუსკინი“ გასცდა დიომიდეს კუნძულს. სუფთა წყლამდე 3/4 მილი აქვს დარჩენილი. განთავისუფლების პროცენტი იზრდება, ანუ როგორც მეზღვაურები ამბობენ, ყინულიდან განთავისუფლების აქციები იაფდება, ფასი ვარდება; ყველა დარწმუნებულია, რომ განთავისუფლდებიან. საჭიროა, ყინული გასკდეს და „ჩელუსკინი“ დაიძვრება.

4 ნოემბერი. საღამო. ყინული შეჩერდა. დრეიფი შეწყდა. მოსალოდნელია სამხრეთის ქარი, რომელიც „ჩელუსკინისათვის“ სასურველი არ არის. ექსპედიციის უფროსმა ამხანაგმა ბოჩეკმა და კაპიტანმა ნიკოლაევმა „ჩელუსკინს“ რადიოგრამით დახმარება შესთავაზეს; „ლიტკე“ მართალია დაზიანებულია, მაგრამ შეუძლია დახმარება აღმოუჩინოს „ჩელუსკინს“ — დაამტვრიოს ყინული. რომელიც მას ირგვლივ აკრავს. პროფესორი ოტო შმიდტი დარწმუნებული იყო, რომ ყინულიდან განთავისუფლდებოდნენ, „ლიტკეს“ შეწუხება, ალბათ, არ ინდომა და დახმარებაზე უარი განაცხადა.

5 ნოემბერი. „ჩელუსკინი“ ყინულმა 40 მილით უკან წაიღო, მის ბრჭყალებში მოქცეული ისევ ჩრდილოეთისაკენ — პოლარული ზღვისაკენ მიექანება. გუშინ თუ პოლარული ზღვიდან გამოსვლისათვის მისალოცი დეპეშები მისდიოდათ, დღეს ისევ პოლარულ ზღვაში ყინულთან ერთად ჩრდილოეთისაკენ მიექანება. გამოსვლის იმედი თანდათან იკარგება. არქტიკა თავისას განაგრძობს — ვერ ელევა თავის სტუმარს; ცდის, გაუძლებს თუ არა მისი ყინულის მუხრუჭებს. ყინულთა სამეფო ზამთარში სტუმართმოყვარე არ არის — იგი ბოროტი და მრისხანეა...

11 ნოემბერი. „ჩელუსკინი“ უკვე 140 მილით არის დაშორებული 4 ნოემბრის დგომის წერტილიდან. ჩელუსკინელებს ისღა დარჩენიათ, დახმარება სთხოვონ „ლიტკეს“. ამ დროისათვის „ლიტკე“ დეჟნევსა და უელენს შორის დაცურავდა და მოზამთრეებს აგროვებდა პრივედენიეში წასაყვანად. „ჩელუსკინიდან“ მიღებული დეპეშა არც ისე სასიამოვნოა, რადგან ყველამ იცის ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ ნოემბერში პოლარულ ზღვაში თავისი ნებით შესულიყო გემი; მაგრამ აქაც არ დაუხევიათ უკან.

მეზღვაურებს შიში არ ჩვევიათ!

გემი დახმარებას ითხოვს, მაშასადამე, უნდა დაეხმარო.

გემზე სანკუთხედის სასწრაფო კრებამ ერთხმად დაადგინა „ლიტკე“ გაემართოს „ჩელუსკინისაკენ“, თუ გემს ვერ გადაარჩენს, ზედმეტი ხალხი მაინც მოხსნას. „კომანდის“ ნაწილი შეიცვალა, ვინაიდან მოსალოდნელი იყო ზამთრობა და ვინც სუსტად გრძნობდა თავს, ან სურვილი არ ჰქონდა, შეცვლილ იქნა სხვა გემებიდან, თუმცა ასეთები ცოტანი აღმოჩნდნენ, უმრავლესობას ჰქონდა სურვილი ჩელუსკინელებს დახმარებოდა...

13 ნოემბერი. წავიღეთ სურსათ-სანოვაგე და „ჩელუსკინისაკენ“ გავეშურეთ. პრივიდენიეში მყოფი გემები საყვირებით გვეხმაურებოდნენ — კეთილმეგობრობასა და გამარჯვებას გვისურვებდნენ. ძლიერი ქარი ქროდა, ზღვა ღელავდა, ერთი დღე წმინდა დიომიდეს კუნძულს შევაფარეთ თავი.

14 ნოემბერი. შეუმჩნევლად გავცურეთ 67 გრადუსი „ჩელუსკინამდე“, უკვე „ჩელუსკინს“ ვუახლოვდებით.

15 ნოემბერი. 20 მილი იყო დარჩენილი, „ჩელუსკინი“ არ ჩანდა. „ჩელუსკინამდე“ გაუვალი ყინული მძვინვარებდა. ყინულის მოედანს, რომელიც მას ათი დღის წინათ ახლდა, ახალი ყინული მიმატებოდა. შემოვუარეთ სამხრეთით, აღმოსავლეთით; მივადექით ჩრდილოეთიდანაც, მაგრამ 30 მილზე „ჩელუსკინამდე“ გზა-მისასვლელი არსად ჩანდა. ერთიანი ყინული, რომლის სისქე რამდენიმე მეტრს აღწევდა, ყინულმჭრელისათვის გაუვალი იყო. გადაწყდა, „ჩელუსკინიდან“ ბაბუშკინის თვითმფრინავი აფრენილიყო, ეწარმოებინათ დაზვერვა, იქნებ ყინულმჭრელის მისადგომად როგორმე გზა ეპოვა. ყინვა თანდათან მძვინვარებდა.

16-19 ნოემბერი. ამერიკის ნაპირები, ალიასკა თეთრად ბრჭყვიალებს; დიდი ხანია თოვს. ყინულმჭრელის ერთ ადგილზე დგომა შეუძლებელია, რადგან მოსალოდნელია ჩაყინვა და ზამთრობა. ბაბუშკინის თვითმფრინავმა აფრენის დროს ავარია განიცადა; სერიოზულ შეკეთებას საჭიროებს. ჩელუსკინელებს ერთადერთი იმედიც მოესპოთ. პროვიდენიეს ყურეში ლიაპიდევსკისა და პეტროვის თვითმფრინავებს ფრენა არ შეეძლოთ, რადგან ასაფრენი მოედანი ჯერ კიდევ არ იყო მზად. „ლიტკეს“ საჭე ერთ თვეზე მეტია კონსერვაცია ქმნილია. გემის მართვა მარჯვენა და მარცხენა მანქანების რეგულაციით ხდება; წყლის დენა ყველაზე მეტად საფრთხეში აყენებს როგორც გემის შემადგენლობას, ისე გემსაც. ზამთრობა არასასურველია; მოსალოდნელია წყლის გადამქაჩი მანქანების გაფუჭება, ანდა ბადის დანაგვიანება, რასაც შედეგად მოჰყვება წყლის გადაქაჩვის შეწყვეტა, ეს კი ძალზე საშიშია. წყლის გადამსხმელი მანქანები „ლიტკეზე“ ძლიერია; ერთ მანქანას საათში შეუძლია გადაღვაროს 500 ტონა, მაგრამ ზამთრობაზე რომ დადგე, ეს საკმარისი არ არის. საწვავი მასალაც სამყოფი აღარ გვაქვს. ჩელუსკინელებს შორიდნ ვემშვიდობებით, ვუსურვებთ კეთილ ზამთრობას, გამარჯვებას, მშვიდობით დაბრუნებას და უხალისოდ ვბრუნდებით უკან პრივიდენიესაკენ. მეტი გამოსავალი არ არის, „ჩელუსკინი“ ყინულებში უნდა დავტოვოთ. გემზე ყველა ღელავს, წარმოდგენილი გვაქვს, როგორ პირობებში მოუხდებათ ჩელუსკინელებს ზამთრობა. ყოველ წუთს მზად უნდა იყვნენ ჩანთებით, სურსათ-სანოვაგით. დღე და ღამ ჩაცმულებს უნდა ეძინოთ.

ჩვენც გვქონდა ხიფათით სავსე წუთები, წუთიერ ძილში დამსიზმრებია გემის დაღუპვა, ვშფოთავდი, ვიტანჯებოდი, დამსიზმრებია რომ გადავრჩი, შინ ვარ, საყვარელ მშობლებთან, და-ძმასთან, ცოლ-შვილთან, ნათესავებთან; გახარებულს გამომღვიძებია, მაგრამ როცა დავრწმუნებულვარ, რომ ეს სიზმარია, კაიუტისათვის ნაღვლიანად შემივლია თვალი. დაეინებით ვუყურებ ჩემს გვერდით მძინარე ამხანაგს, ისიც ჩემსავით შფოთავს ძილში. ასეთ პირობებში გემის მიტოვების სიმძიმეს მხოლოდ ის გაიგებს, ვისაც ჩრდილოეთის მკაცრი ზამთარი გამოუცდია.

ვცდილობთ, როგორმე არ დავიზამთროთ, როგორმე ნაპირამდე მივაღწიოთ. ზამთრობა ამერიკის სანაპიროებთან ალიასკაზე ძნელია, აქ მხოლოდ თეთრი მელა (პისეცი) დაცუნცულებს, სხვა არაფერი მოჩანს. ისევ მიწისაკენ მივდივართ. გემში წყალი თანდათან მატულობს, ყინულს ვუფრთხილდებით, კაპიტანი დღედაღამ ხიდზეა. ჭამის დროსაც თვალი ილუმინატორისაკენ უჭირავს. ქურქში გახვეულს ხიდურზე დღე ღამეში 2-3 საათი სძინავს. ექსპედიციის უფროსი ნერვიულობს — ჩვენი სახიფათო მდგომარეობა, თანაც „ჩელუსკინის“ ასეთ მდგომარეობაში დატოვება, არ ასვენებს. ყოველი რადიოდეპეშა, სანამ შინაარსს გაიგებდეს, ძალზე აღელვებს, კარგ ამბავს რადისტი ზეპირად ეუბნება... უხალისოდ ვართ; ხიდურზე კაპიტანი დგას და გემს მართავს; არავის ესაუბრება. უფროსი მექანიკოსი სამანქანო განყოფილებიდან კაიტუკომპანიამდე დაწრიალებს; ისიც ვერ ისვენებს, ნერვიულად ღეჭავს ჩიბუხს, რომელსაც იგი ძილშიაც არ იშორებს. ის გემზე ყველაფერზე პასუხისმგებელია, როგორც ამბობენ, „გემის გული და მანქანა არის“; „ლიტკეს“ ახლანდელი მდგომარეობა, რა თქმა უნდა, არ მოასვენებს. ყინული თანდათან იშვიათდება. აქა-იქ გამოჩნდება ყინულზე გაწოლილი ლომვეშაპების „(მორჟების“) ხროვა. ლომვეშაპი 70-100 ფუთს იწონის. სროლის ხმაზე ხროვა წყალში დგაფუნით ეშვება. ყინულ-

ზე დაჭრილი ცხოველის მხოლოდ წითლად შეღებილი ნაკვალევი რჩება.

ყინულიდან გამოვედით, უელენს ვუახლოვდებით, ხუფთა წყალში გემი ნელა მიტორტმანებს. აქა-იქ გამოჩნდება ვეშაპი, რომელიც თითქოს თავს გვაწონებს თავისი შადრევნით — წყალს მაღლა ისვრის. გემის მიახლოებისას, წყლის სიღრმეში ინთქმება. აქა-იქ ნერპი ამოყოფს თავს და ბრიალა შავ თვალებს იმდენ ხანს არ მალავს, სანამ ვინმეს გასროლილი ტყვია თავს არ გაუხვრეტავს. მაშინ გემი წუთით შეჩერდება, ნერპს გემბანზე ამოათრევენ, მაშასადამე, დღეს ახალი ხორცი გვექნება. თუმცა ნერპას შავი ხორცი მაინცდამაინც გემრიელი არ არის, მაგრამ ბევრს უყვარს; გულ-ღვიძლი კი თუ კარგად არის მომზადებული, ღორისას არ ჩამოუვარდება.

უელენში დიდი ხანია მოზამთრეთა გემებიდან მოხსნილები გველოდებიან. ეს ბოლო ჯგუფია; მეტის გადმოყვანა შეუძლებელი იყო, რადგან ჩრდილოეთის კონცხთან მალე პოლარული ღამე იწყებოდა. ისინი წამოვიყვანეთ და ისევ პრიველენიესაკენ დავიძარით.

20 ნოემბერი. პრივიდენიეში, რასაკვირველია, ჩვენი მისვლა გაუხარდათ (გაუხარდათ ჩვენც რომ არ დავიზამთრეთ), მაგრამ უჩელუსკინოდ მისვლა არავისთვის სასიამოვნო არ იყო; სახეზე ყველას სევდა ემჩნევა — ეს არის ფიქრი „ჩელუსკინზე", რომელიც ნაპირებიდან შორს ზღვაში, ყინულებში ჩარჩენილი ზამთრობს. ვინ იცის, იქნებ, ყინულმა სიმკაცრე არ გამოიჩინოს და ჩელუსკინელებმა მშვიდობიანად გამოიზამთრონ. ღმერთმა ქნას!

22 ნოემბერი. დილით გავიარეთ წმინდა ლავრენტის კუნძული და ბუხტა პრივიდენიაში შევედით; აქ თვითმფრინავები უკვე ემზადებოდნენ „ჩელუსკინის" დასახმარებლად. დახმარებაში მონაწილეობდნენ: სლეპცოვი, კამანინი, ვოდოპიანოვი, ლიაპიდევსკი, მოლოკოვი. ამ ახალგაზრდა მფრინავთა თავდადება საიმედოს ხდიდა ჩელუსკინელების გადარჩენას. ყველას იმედი მოგვეცა მუდმივ მზადყოფნაში რომ ვყოფილიყავით, ყინულმჭრელი „ლიტკე" შესაკეთებლად დავაყენეთ. გემმა დაიწყო „ქრილობების მოშუშება". მყვინთავები, რომლებიც ნავიგაციის პერიოდში ჩვენთან იყვნენ, ზღვაში გადაეშვნენ შენგრეული გვერდის შესაკეთებლად. ჟანგბადის მიმწოდებელი აპარატი და დამხმარე პერსონალი გემთან ახლოს, ყურეში იყო და თვალყურს ადევნებდა მყვინთავის ნიშანს. ამონასუნთქი ჰაერი და ჟანგბადის ბუშტები დროდადრო სპეციალურად ამოჭრილი ხვრელიდან (სადაც მყვინთავები ჩაძვრნენ) ამოდიოდა. უცებ სანიშნე თოკი შეინძრა და ხვრელიდან განუწყვეტლივ იწყო ჰაერის ბუშტებმა დენა. გამოცხადდა განგაში .გემის მთელი შემადგენლობა საშველად გამოცვივდა, მაგრამ უკვე გვიანი იყო — საჰაერო მილი, რომელიც აპარატიდან ერთ-ერთ მყვინთავს ჟანგბადს აწვდიდა, ყინულს გადაეჭრა — მყვინთავი დაიღუპა. იგი იქვე პრივიდენიეს ნაპირზე, სამხედრო წესით დავასაფლავეთ.

1 დეკემბერი. ყინულოვანი ზღვა მშვიდი არ არის. სამხრეთის ქარმა ნაწილობრივ გაადნო ყინული. ქარი და თბილი დინება მეტად საშიშია გემისათვის; ამ დროს მოძრავ ყინულს შეუძლია გვერდი შეუმტვრიოს გემს და ისედაც უმოქმედო გემი ზღვის ფსკერისაკენ გაისტუმროს. ყინულის ნაწილობრივმა გადნობამ „ჩელუსკინს" თავის სვლით გზის გაკაფვის საშუალება მისცა. მაგრამ ეს იყო უკანასკნელი ცურვა, რადგან მალე ისევ დაიწყო საშინელი ყინულთსვლა. ტოროსი თანდათან მატულობდა, აღიმართებოდა ყინულის უშველებელი მთები, რაც „ჩელუსკინს" ყოველი მხრიდან ავიწროებდა და რკალში აქცევდა. ჩვენი მზადყოფნა დამთავრდა, „ჩელუსკინს" ზღვიდან არაფერი ეშველება, ყინულმჭრელი ავარიულ მდგომარეობაშია, მათი გადარჩენა ყინულზე ძაღლების მარხილს მივანდეთ, ხოლო ჰაერიდან — ავიოტრანსპორტს — მათ უნდა გაუწიონ დახმარება „ჩელუსკინს"...

20 დეკემბერი. კამჩატკის პეტრეპავლოვსკს ვუახლოვდებით. გავიგე, კამჩატკაზე ერთი ქართველი მფრინავიაო. გული რას მომითმენდა, არ მენახა. მოვძებნე იგი, ჩემი თანაკურსელის, ექიმ თამარ გიორგობიანის ძმა აღმოჩნდა. ჩემთან წამოვიყვანე. ცოტა ჩვენებური ღვინო მქონდა დარჩენილი, ერთად დავლიეთ. ბევრი საერთო ნაცნობი გავიხსენეთ, დიდად ვისიამოვნეთ, მერე პოლიკლინიკისაკენ გავწიეთ.



სურსათის დატვირთვა.



ექსპედიციის მონაწილეები ტოვებენ გემს.

გიორგი სალუქვაძე

## ობელისკი

ბათუმის პორტთან მშვენიერი პატარა სკვერი...
აქ ფარფატებენ თოლიები დაუდგრომელნი.
ელვარებს ქაფი გამჭვირვალე და ათასფერი,
ზღვა გარინდულა, თითქოს გრიგალს აღარ მოელის.

აქვეა თეთრი ობელისკი ცად ანაჭერი.
გულივით ფეთქავს წმინდა ალი ჩაუქრობელი.
ზემოთ ელვარებს სამშვიდობო ზეცის ნაჭერი,
სიკეთისა და სინათლისკენ ქვეყნის მხმობელი.

ხალხმა ინება შვილთა თვისთა გაუკვდავება,
ხალხმა ინება — ხალხისათვის ვინც გაიწირა —
ცოცხალთა შორის იგულვოს და შერაცხოს გმირად,
ვინაც აქცია ქარიშხალი მზიან დარებად,
ვინც ცას და მიწას მისცა ფერი პირველყოფილი
და ვისაც ლოცავს დედამიწა ხელაპყრობილი!

## დაისი

მთას გადმოვიდა მზე და
ზღვაზე იწვის დაისი,
რომ სანაპიროს
მობრიალე შუქი ეფინოს.
ხელი ვაწვდინე მზეს და
ხელისგულზე, დავისვი,
რომ ჩემს ქვეყანას
ცოტა მეტ ხანს ვაყურებინო.

## ალადასტური

ალადასტურის მტევანო,
ვენახში დაუტევარო,
რთველი რომ მოახლოვდება.
ისევაც შენი ტყვე ვარო.
შენც ხომ გამჩენის შვილი ხარ.
კაცის მარჯვენამ გზარდაო,
ჩემი სიცოცხლის წილი ხარ,
ქცეული გულისხმადაო.
რამდენჯერ დამენახვები
სიკეთისათვის მზადაო?
ამიყოლიებ — აგყვები,
გადაქცეული სმადაო,
ძირშიამც დაგემარხები,
თვალგახელილი მანდაო.

ჯონ ო'ჰარა

ჯონ ო'ჰარა ცნობილი ამერიკელი მწერალია — რომანისტი, ნოველისტი, დრამატურგი. იგი ერთგულად მიჰყვება მეოცე საუკუნის ამერიკული ლიტერატურის რეალისტურ ტრადიციებს. მისი რომანები და მოთხრობები სოციალური სიმახვილით გამოირჩევა.

გთავაზობთ მწერლის პატარა მოთხრობას, სადაც მწვავედ არის მოცემული მორალის საკითხი.

# საუბარი სადილობისას

ერთხელ მე და ჰარმონ გრეი ერთად ვსადილობდით კლუბში — „კოტურნოსში“ და დარბაზს რომ მოვავლე თვალი, უცებ ნორბერტ ებოტი დავინახე, ჩვენს მაგიდას ჩაუარა და რესტორნის მეორე ბოლოში თავის კოლეგა მსახიობს მიუჯდა.

— დაინახე ვინ იყო? — ვკითხე ჰარმონ გრეის.

— დავინახე.

— იმან, მგონი, ვერ შეგვნიშნა.

— მგონი, ვერა, — დამეთანხმა ჰარმონი.

ნორბეტ ებოტს პირადად არ ვიცნობდი, მხოლოდ ის ვიცოდი მასზე, რაც ყველამ იცოდა: პირველივე დიდ როლში არნახული წარმატება ხვდა. ეს იყო ჰარმონის პიესაში, როლი ერთი საზიზღარი, გულნამცეცა ტიპისა, რომელიც სულ სხვას შეჰყურებს ხელში და სხვის ხარჯზე ცხოვრებას ცდილობს. მანვე მიიწვია ამ როლის შესასრულებლად მაშინ ჯერ კიდევ უცნობი ნორბერტ ებოტი. სპექტაკლი ტაშის გრიალში მიდიოდა და ჰოლივუდის წყალობით ებოტი პირველი ვარსკვლავი გახდა.

— როგორც ადამიანი რას წარმოადგენს? — ვკითხე მე.

სანამ მიპასუხებდა, ჰარმონმა ფანჯრიდან გადაიხედა.

— არ ვიცი, — თქვა მან, — ღმერთმანი, არ ვიცი.

— იმ გარეწრის როლი კი ბრწყინვალედ შეასრულა.

— ჰო! — თავი დამიქნია ჰარმონმა.

— შენგან დიდად არის დავალებული.

— არა, არა, — შესძახა ჰარმონმა. — სულაც არა. ისე ბრწყინვალედ შეასრულა ის როლი, რომ უმაგისოდ ნამდვილად ჩაფლავდებოდა სპექტაკლი. არ გეგონოს, თავმდაბლობით მომდიოდეს. ვიცი, რომ პიესა სუსტი არ იყო. მაგრამ მაინც ვერ წარმომიდგენია, სხვა როგორ გაართმევდა თავს ამ როლს. ერთი სიტყვით, როლმა და მსახიობმა იპოვეს ერთმანეთი. ისე რომ, ბარი-ბარში ვართ. — ჰარმონმა პირთან მიიტანა ჩანგალი, მაგრამ უცებ ისევ დაუშვა. — რა თქმა უნდა, მეწყინა, როცა ჰოლივუდში გაიქცა, მისი მონაწილეობით კიდევ რამდენიმე თვეს გასტანდა სპექტაკლი. თუმცა, ჩემსავით ვინ უნდა იცოდეს, რა ვაჟბატონები ბრძანდებიან ეს მსახიობები.

მერე სულ სხვა თემაზე გადავიდა ჩვენი საუბარი და ჰარმონს ვკითხე, ამჟამად რაზე მუშაობ-მეთქი.

ერთი რაღაც მაქვს ჩაფიქრებულიო, — თქვა მან და დაახლოებით გადმომცა მთავარი აზრი, მაგრამ ვხედავდი, რომ სულ სხვა რამეზე ფიქრობდა.

ამიტომ შევაწყვეტინე:

— მოიხედე, ჰარმონ, თუ ეს თემა არ მოგწონს, მოდი სხვა...

— არა, მაპატიე, — გაიღიმა, — შენ გგონია, პიესაზე არ მინდა გიამბო? რა ბრძანებაა. მაგრამ წელან რომ მკითხე ნორბერტ ებოტზე რა კაციაო... ჯანდაბას.., მე კი უნდა ვიცნობდე მაგას უკეთესად. აბა, რა მწერალი ვარ, თუ ამდენი ხანია ადამიანთან ერთად ვმუშაობ და არ ვიცნობ?

ეს იყო და ეს, მეტი ებოტზე არაფერი უთქვამს, მაგრამ რაც იქ ვისხედით, თითქოს რაღაც აწუხებდა.

მე და ჰარმონი იშვიათად ვსადილობთ ერთად და როცა ასე შევხვდებით, ნასადილევს ბიბლიოთეკაში მივდივართ ხოლმე; მაგრამ იმ დღეს ჰარმონმა შემომთავაზა, ტრადიციული სიგარა აქვე, მაგიდასთან მოვწიოთო. რატომ, ამას მალე მივხვდი: სადილს რომ მორჩა ნორბერტ ებოტი, გასასვლელისაკენ გაემართა და უცებ ჰარმონი დაინახა. ებოტი გაიბადრა და ხელგამოწვდილი ჩვენი მაგიდისაკენ წამოვიდა. „ჰელო, ჰარმონ, როგორ მიხარია, რომ გხედავთ“, — წამოიძახა მან. ჰარმონმა გამაცნო ებოტი და შესთავაზა, ერთი ფინჯანი ყავა ჩვენთან დალიეო. რამდენიმე წუთს ტკბილად მუსაიფობდნენ. ჰარმონი დიდ თავაზიანობას იჩენდა, ის კი არა და, მომეჩვენა, რომ გულწრფელად სცემდა პატივს ახალგაზრდა მსახიობს. მერე რაღაც მოულოდნელი მოხდა.

ჰარმონმა ჩაახველა.

— მოიხედეთ, ნორბერტ, გაზეთში წავიკითხე, რომ დღეს ჰოლივუდში მიემგზავრებით.

— დიახ, დიახ, „XX საუკუნე ფოკსი“ ახალ სურათს იწყებს.

— ჰო, ასე ეწერა გაზეთში, მინდოდა, წასვლამდე მომეხელთებინეთ და რაღაც მეთქვა, მაგრამ ბარემ აგერ გეტყვით. მისტერ კერი ჩემი ძველი მეგობარია და არაფერს ვუმალავ. საქმე ისაა, ნორბერტ, რომ იმ ჩვენი პიესის შემდეგ არაფერი დამიწერია, თქვენც ხომ იცით. ერთი სიტყვით, თუ შეგიძლიათ მასესხოთ ათასი, სანამ ახალ პიესას დავამთავრებდე? დიდხანს არ დაგიგვიანებ, თანაც დარწმუნებული ვარ, რომ ჰოლივუდი იყიდის პიესას, მაგრამ ახლა...

— ათასი? — ჰკითხა ნორბერტმა.

— თუ არა ვცდები, ეს თანხა თქვენი ერთი კვირის ხელფასის ნახევარზე ნაკლებია, — შენიშნა ჰარმონმა.

— მართალი ხართ, ჰარმონ, მაგრამ ვერც კი წარმოიდგენთ, რა დღეში ვარ: გადასახადები — უშველებელი, ხარჯი — დიდი. ახლა კიდევ ბიძაშვილები დამესიენ — ხომ იცით, როგორ არის ხოლმე. — ნორბერტმა ნაძალადევად გაიღიმა. — მოდი, ასე მოვიქცეთ: როგორც კი ჩავალ ჰოლივუდში, მაშინვე მოველაპარაკები ჩემს მანეჯერს. თუ მომცემს ერთ ათასს — თქვენი იქნება. რა თქმა უნდა, ყველაფერი შეიძლება მოხდეს — მანეჯერები, როგორც მოგეხსენებათ, ხელმოჭერილი ხალხია. ჩემი მანეჯერი მხოლოდ წვრილმანი ხარჯებისათვის მაძლევს ფულს, თითქოს მოწაფე ვიყო, მაგრამ ახლა ავუხსნი, რომ ეს ჩემი ახირება არ არის. ჰა, რას იტყვით?

— რა გაეწყობა, კეთილი, — კმაყოფილი კილოთი უპასუხა ჰარმონმა.

ნორბერტ ებოტი გამოგვემშვიდობა და წავიდა, მე კი ჰარმონ გრეის მივაჩერდი.

— არ მეგონა, რომ ხელმოკლედ იყავი, — ვუთხარი გაკვირვებულმა.

— სულაც არა ვარ ხელმოკლედ. სამაგიეროდ შენს კითხვაზე გიპასუხე.

— დიდი სიმკაცრე გამოიჩინე, — გავიცინე მე. — მე კი მართალი მეგონა. ნამდვილი პროფესიონალი ხარ!

— გმადლობთ. კიდევ ერთ რამეში დავრწმუნდი და ძალიან კმაყოფილიცა ვარ.

— რაში?

— იმაში, რომ შესანიშნავად ვიცი როლების განაწილება, — ამაყად წარმოთქვა ჰარმონმა. — განა ადვილია ისე შეარჩიო მსახიობი, რომ თავისი თავი ითამაშოს?

თარგმანი ვალენტინა ტატიშვილისა.

უცხოური მოთხრობა

ვახტანგ ჯავახაძე

# ირონიული ლირიკა

● ●

წავალ...
უნდა წავიდე,
თუნდაც დანა გალესონ,
თუნდაც დამკლან,
დამკეპონ,
როგორც ბევრი დაკეპეს,
მაინც წავალ უთუოდ,
ყოველ მიზეზ გარეშე, —
პირველ აპრილს კი არა —
ოცდათორმეტ დეკემბერს.

## მერცხლების სიმღერა

ზე რომ დაყრის ფურცელს,
უმალ უკან წავალთ,
მაგრამ გაზაფხულზე, —
ნურას უკაცრავად!

●

გავიგონე მინარეთთან
არაბული არაკი:
ზღვას აკოცა მდინარემ და
დაიბადა — ქალაქი.

● ●

საიდუმლო სერობას არ ესწრება იუდა,
მაგრამ ჩვენი თამადა მაინც განერვიულდა,
იცის ჭეშმარიტება დღეთა ამქვეყნიურთა:
სადაც ქრისტე არ არი,
იქ არ მივა იუდა.

● ●

ამაყად იჯდა ტყემალზე
და გაჰყურებდა ტერასებს...
სხვადასხვა დამნაშავეთა
ცოდვებს წყევლიდა
თემიდა...
საფლავში ისე ჩავიდა,
არ ჩამოსულა ტყემლიდან...

## კრიტიკოსი

ჯერ სიგარას გააბოლებს,
მერე თვალებს დააკვესებს,
შემდეგ თმაჭაღ-არა პოეტს
უქებს კაფანდ-არა ლექსებს.

## ლოთი

შეიცვალა ხასიათი:
სმა შესწყვიტა მან
და დაზოგა —ასი ათას
შვიდას ხუთი მან.

● ●

შეხე,
როგორ მიაცხრენ თავისუფალ სავარძელს!
წაესივნენ ერთმანეთს,
წაჰკრეს,
წაუთავაზეს.
მოგვაქციეს უტიფრად —
უხეში და ურგები —
უსახელო ომებში გახეხილი ზურგები.
უცებ დაცხრნენ...
შეეშვნენ ბრძოლებს სამახსოვროებს,
მიბრუნდნენ და ძუნძულით მიაშურეს სოროებს.

სამკურნალო მცენარეთა ასორტიმენტს, რომელსაც თანამედროვე მედიცინაში იყენებენ, თავისი ისტორია აქვს.

უძველესი ხალხები სხვადასხვა ქვეყნებში თანდათანობით ავლენდნენ მრავალრიცხოვან სამკურნალო მცენარეებს, რომელთა დიდი ნაწილი შემდეგ სამეცნიერო მედიცინაში შევიდა.

სწორედ ხალხურმა სიბრძნემ დაუდო საფუძველი ფარმაკოგნოზიას.

თანამედროვე სამკურნალო საშუალებათა ასორტიმენტის 35-40 პროცენტი მცენარეული წარმოშობისაა.

სამკურნალო მცენარეთა ტექნოლოგიური დამუშავება, ათასგვარი ცდები და ექსპერიმენტული დაკვირვებანი, რომლებიც სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებებსა და ლაბორატორიებში მიმდინარეობს, მრავალი ახალი სამკურნალო პრეპარატის მიღების აუცილებელი პირობაა.


ეროვნული ბიბლიოთეკა

ხისმსგავსი ალოე.

# ერთადერთი

სწორედ ამ საქმეს ემსახურება შავი ზღვის სანაპიროზე, ქობულეთის მახლობლად მდებარე ამიერკავკასიის ზონალური საცდელი სადგური „ვილრი", რომელიც 1940 წელს დაარსდა.

წარმოადგენს რა საკავშირო სამკურნალო მცენარეების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის სადგურს, ზონალური საცდელი დაწესებულება სისტემატურად ატარებს სხვადასხვა სამეცნიერო გამოკვლევებს და ყოველმხრივ შეისწავლის სამკურნალო მცენარეთა ტროპიკულ და სუბტროპიკულ წარმოშობას.

მემცენარეობის ლაბორატორიაში, ბოტანიკისა და ფიტოქიმიის სექტორებში ნაყოფიერად მიმდინარეობს მცენარეთა ყოველმხრივი დამუშავება სამკურნალო პრეპარატების შესაქმნელად.

ზონალურ საცდელ სადგურს აქვს საკოლექციო ნაკვეთი, სადაც 400-ზე მეტი სამკურნალო მცენარის ძვირფასი სახეობაა. ამ კოლექციიდან ზოგიერთმა მცენარემ ქობულეთის სამკურნალო მცენარეთა მეურნეობაში გადაინაცვლა. ტროპიკული და სუბტროპიკული წარმოშობის ძვირფასი სამკურნალო მცენარეების გამოყვანაში ეს მეურნეობა ერთადერთია საბჭოთა კავშირში.

ეფექტური სამკურნალო პრეპარატების მისაღებად მეურნეობა ნედლეულით ამარაგებს ჩვენი ქვეყნის ქიმიურ ფაბრიკებსა და ქარხნებს.

1975 წელს საცდელ სადგურში ჩამოყალიბდა ექსპერიმენტული ბაზა, რომელსაც 20 ჰექტარი ფართობი უჭირავს.

საცდელ სადგურში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა მიმდინარეობს საკავშირო სამკურნალო მცენარეთა ინსტიტუტის მიერ დამტკიცებული თემატური გეგმით.

კადრები დაკომპლექტებულია მეცნიერ თანამშრომლებით: თექვსმეტი თანამშრომლიდან ცხრა მეცნიერებათა კანდიდატია, ხუთი კი — ასპირანტი; ზოგიერთი მათგანი ატარებს სამეცნიერო გამოკვლევებს ვიეტნამში, კუბაში, მონაწილეობას იღებს შემოქმედებით კონტაქტებში ინდოეთის, უნგრეთისა და იუგოსლავიის მეცნიერებთან.

სადგურის დირექტორმა, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატმა ნ. სვანიძემ ორი წელი გაატარა კუბაში, სადაც ჩამოაყალიბა ხუან თომას როის სახელობის სამკურნალო მცენარეთა ექსპერიმენტული სადგური. მისი სამუშაო განაგრძო სადგურის თანამშრომელმა, ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა ვ. ივანოვმა, რომელიც ახლახან დაბრუნდა თავისუფლების კუნძულიდან.

საინტერესო სამუშაოებს ატარებს სამკურნალო მემცენარეობის დარგში საცდელი სადგურის დირექტორის მოადგილე, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი ა. ბანძელაძე.

საცდელ სადგურში ფარმაკოგნოზიაში სასწავლო-საწარმოო პრაქტიკას ყოველწლიურად გადის ფარმაცევტული ფაკულტეტის 400-ზე მეტი სტუდენტი საბჭოთა კავშირის 16 ქალაქის უმაღლესი სასწავლებლიდან.

მუშაობის პერიოდში საცდელ სადგურში შესწავლილი და დანერგილია 14 სამკურნალო მცენარე, შედგენილია მათი გამოყენების აგრორეკომენდაციები.

სამკურნალო მემცენარეობის ინტენსიფიკაციის მიზნით ტარდება ველური სამკურნალო მცენარეების ნაზარდების კვლევა, რაციონალური გამოყენება და მათი დაცვა. ამ მიზნით სამხრეთ საქართველოს მთიან რაიონებში სამკურნალო მცენარეების მოსაშენებლად გამოყოფილია ორი ნაკვეთი.

საცდელმა სადგურმა დამოუკიდებლად შექმნა 5 სამკურნალო პრეპარატი და მონაწილეობა მიიღო საკავშირო სამკურნალო მცენარეთა ინსტიტუტის მიერ შექმნილი 6 პრეპარატის მიღებაში.

წინ კიდევ დიდი სამუშაოა. მთელი კოლექტივი ძალასა და ენერგიას არ ზოგავს, რომ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეში.

ვ. კუპრაშვილი

ამოწმებენ ნარგავს.





# უცნაური ქურდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადრიანი დილა იყო.

ჭალადიდელი კოლმეურნე ილია ქვარცხავა სიმინდის ყანის გასათოხნად მიიჩქაროდა. მოულოდნელად გზის მარჯვენა მხარეს რაღაც საგანს მოჰკრა თვალი. რამდენიმე ნაბიჯით მიუახლოვდა და მაშინვე შეცბა — მის წინ ორმოციოდე წლის მამაკაცის გვამი ეგდო.

გლეხმა მოკლული ვერ შეიცნო. გატრიალდა, სოფლისკენ გაიქცა და ეს საშინელი ამბავი საბჭოს თავმჯდომარეს აცნობა.

ნახევარი საათის შემდეგ შემთხვევის ადგილზე ადგილობრივი მილიციის მუშაკები მივიდნენ მათ, როგორც წესი, მკვლელობის ადგილი საიმედოდ დაიცვეს, ვიდრე თბილისიდან საგანგებოდ მოწვეული სისხლის სამართლის სამძებრო სამმართველოს განყოფილების მუშაკები ჩამოვიდოდნენ.

სისხლის სამართლის სამძებრო სამმართველოს ოპერატიულ ჯგუფს, რომელსაც ჭალადიდის გზაზე მომხდარი მკვლელობის დანაშაული უნდა გაეხსნა — სათავეში ჩაუდგა პოლკოვნიკი ხუტა გაგუა. ოპერატიულ ჯგუფში სხვა მუშაკებთან ერთად შეიყვანეს სისხლის სამართლის სამძებროს უფროსი ოპერრწმუნებული აბესალომ ჩიჩუა. ახალგაზრდა ჩეკისტისათვის ეს ოპერაცია პირველი სერიოზული გამოცდა იყო.

შემთხვევის ადგილის გულდასმით დათვალიერებამ ბევრი საგულისხმო ვერაფერი მისცა ოპერატიულ ჯგუფს. მხოლოდ ის დადგინდა, რომ მკვლელობა, სულ ცოტა, ორი კაცის მიერ იყო ჩადენილი. ნათელი გახდა ისიც, რომ მკვლელები მსუბუქი ავტომანქანით იყვნენ.

— ამხანაგო პოლკოვნიკო, თუ შეიძლება, ავტომანქანის კვალს გავყვები, დავადგენ სად მიდის იგი, — თქვა აბესალომ ჩიჩუამ.

— კვალი ძალზე შორს მიდის და იბნევა, — ჩაფიქრებით გასცა პასუხი პოლკოვნიკმა აბესალომ ჩიჩუას და მაშინვე დასძინა, — ახლო-მახლო დაათვალიერეთ, იქნებ კვალმა რაიმე სამხილი მასალა მოგცეთ.

მტვრიან შარაგზას, რომელიც დილის ცვარს დაენამა, ავტომანქანის საბურავების კვალი მკაფიოდ ეტყობოდა.

აბესალომი გულდასმით აკვირდებოდა არა მარტო მანქანის ნაკვალევს, არამედ გზის შემოგარენსაც. დაახლოებით ერთი კილომეტრის გავლის შემდეგ ავტომანქანის კვალი შეწყდა; არა, კი არ შეწყდა, თითქოს გაღრმავდა, გაფართოვდა, შემდეგ კი ისევ ჩვეულებრივად გაგრძელდა. ადვილი მისახვედრი იყო, რომ მანქანა გაუჩერებიათ.

მაგრამ რატომ? თუ რაიმე გაუფუჭდათ, მაშინ მანქანასთან უნდა ეტრიალათ. ადამიანის ნაფეხურები კი აბესალომმა უფრო გზის მარჯვენა მხარეს შენიშნა. სხვადასხვა ზომის ნაფეხურები ერთმანეთში უცნაურად იყო არეული. ოპერმუშაკს შინაგანმა ალღომ გზის გადაღმა ფოთლებჩამომხმარ სიმინდის ყანისაკენ გაუწია. შორს არ დასჭირებია შესვლა. გაიარა რამდენიმე ნაბიჯი და სიმინდის ყანაში კიდევ ერთი გვამს მოჰკრა თვალი. ძირს გაშხართული ადამიანიც ცეცხლმსროლელი იარაღით იყო მოკლული.

საქმე გართულდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ დადგინდა, რომ ორივე მოკლული პროფესიით ინჟინრები იყვნენ. ერთ-ერთ მათგანს ავტომანქანა „მოსკვიჩი“ ჰყავდა. იქნებ გაძარცვის მიზნით მოკლეს იგი? ეს ვერსია ალოგიკური იყო, რადგან ორივე მოკლულს ჯიბეებში საკმაოდ მოზრდილი თანხა აღმოაჩნდა, მაჯებზე კი ძვირად ღირებული საათები ეკეთათ.

ვინ მოთვლის, რამდენი შრომა, რამდენი უძილო ღამე დასჭირდა ახალგაზრდა ჩეკისტს აბესალომ ჩიჩუას, რომ თავისი პირველი ოპერაცია წარმატებით დაეგვირგვინებინა.

მას შემდეგ, როცა დაძაბული კვლევით დადგინდა, რომ ერთ-ერთი მკვლელი ვინმე ზარგინავა იყო, რომელიც დნეპროპეტროვსკში იმალებოდა,

# ფარდის უკან

კეშავა დევი

კეშავა დევი (დაბ. 1905 წ.) მალაიალის (სამხრეთ ინდოეთის) პროზაიკოსთა უფროსი თაობის წარმომადგენელია. ბოლო წლებში მუშაობს ქალაქ ტრივანდრამის სრულიადინდოეთის რადიოს ლიტერატურულ გადაცემათა რედაქტორად.

კეშავა დევი მრავალ მოთხრობათა კრებულისა და რამდენიმე რომანის ავტორია.

მისი ნოველები პირველად ითარგმნა რუსულ ენაზე ამ ხუთიოდე წლის წინათ.

— რა არის ეს?

— სარი.

— ესა?

— კოფთა.

— არც ერთი არ მინდა.

— რაც მთხოვე, ის გიყიდე.

— თუ მასეა, მე მწვანე სარი და იისფერი კოფთა გთხოვეთ, არა?!

— განა ესენი დასაწუნია?

— დიახაც, მე მინდოდა იისფერი და მწვანე.

— საკმაოდ ძვირი გადავიხადე.

— როდის გთხოვეთ, ძვირფასი მიყიდეთ-მეთქი? მე მხოლოდ მწვანე სარი და იისფერი კოფთა მინდოდა.

— მე კი ესენი მომეწონა.

— მგონი, მე უნდა ჩავიცვა. ესე იგი, მთავარია, მე მომწონდეს.

— მე მომეწონება თუ არა, შენთვის სულ ერთია.

— გამოდის, ის უნდა ვაკეთო, რაც მხოლოდ თქვენ მოგწონთ?

— გააჩნია რა?! სხვა დროს ვეცდები, დაგიჯერო.

— ეს მხოლოდ ლიტონი სიტყვებია. მოკლედ რომ ვთქვათ, ძველებურად აღარ გიყვარვართ.

— საიდან დაასკვენი?

— უწინ რასაც გთხოვდით, ყველაფერს მისრულებდით. ჩემი სურვილი თქვენი სურვილიც იყო...

— ჰოდა, აწი შენი ჯერია, რაც მე მინდა, ის გააკეთე.

— ეს როგორ?

— ჩემი სურვილი შენი სურვილიც ხომ უნდა იყოს?

— მერე, ეს არის სიყვარული?

— აკი, შენ ასე განსაჯე?

— გასაგებია, რატომაც მელაპარაკებით ასე.

— რატომ?

— თქვენ გგონიათ, ვერაფერს ვხედავ და არაფერი მესმის.

— მაინც რა გესმის?

— მესმის, რაც საჭიროა. თქვენ გავიწყდებათ, რომ ცოტაოდენი ჭკუა მეცა მაქვს.

—ოო, ეს არასდროს არ მავიწყდება. რასაც კი ვაკეთებ, ვჭამ თუ მძინავს, მხოლოდ იმაზე ვფიქრობ, რამოდენა ჭკუა გაქვს!

— უკვე ყველაფერი ნათელია ჩემთვის. რა საჭიროა ამდენი დაყვედრება, ყოველივე ცხადზე უცხადესია. უმჯობესია, დროზე მოვშორდე აქაურობას. ავდგები და ჩემს მშობლებთან წავალ!

— ოჰო! ეს უკვე ხუმრობა აღარ არის!

— თქვენ ხომ ბორკილი აგეხსნებათ, მერე თქვენს ნებაზე იცხოვრეთ.

— რაც მართალია, მართალია. ისე, ომში ძალიან ბევრი კაცი დაიღუპა.

— მერე რა?

— ქალი კი ბევრი დარჩა.

— მერე თქვენ რა?

— არჩევანი დიდია!

— ხო-ხო-ხო! ნეტავ, თქვენ რომელი ქალი დაგხარბდებათ?

— მოიძებნებიან. უკან არ დაიხევენ.

— მაგასაც ვნახავთ! ვინც თქვენ გამოგყვებათ, თვალდამდგარი უნდა იყოს.

— იქნებ, აჯობოს კიდეც ნამეტნავად თვალებდაჭყეტილს.

— სულაც არ მენაღვლება, რაც გინდათ, ის ქენით. ავდგები და მშობლებთან გავემგზავრები.

პოლკოვნიკმა კაბინეტში გამოიძახა აბესალომ ჩიჩუა.

— აი მკვლელის სურათები, — პოლკოვნიკმა ორი ფოტოსურათი გაუწოდა აბესალომს. კარგად შეისწავლეთ. ძირითადად ამ ფოტოსურათების დახმარებით უნდა აღმოაჩინოთ და შეიპყროთ დამნაშავე.

ხუთიოდე დღის შემდეგ შეპყრობილი დამნაშავე დნეპროპეტროვსკიდან თბილისში ჩამოიყვანეს; საბოლოოდ აეხადა ფარდა ორი ადამიანის მკვლელობას, რომელსაც თურმე პირადი მტრობა და წყენა ედო საფუძვლად...

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. წლები წლებს გაჰყვა, მაგრამ თავისი პირველი ოპერატიული მუშაობა დღესაც წარუშლელ შთაბეჭდილებად შემორჩა თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს შტაბის უფროსს პოლკოვნიკ აბესალომ ჩიჩუას.

აბესალომ ჩიჩუა პირველად რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებროს სამმართველოში ჩარიცხეს და სპეციალურ კურსებზე გაგზავნეს. კურსებიდან დაბრუნებული ოპერატიულ მუშაკად დანიშნეს, შემდეგ კი უფროს კვალმაძიებლად დააწინაურეს.

მკვირცხლი, მოწადინებული და განვითარებული ახალგაზრდა ჩეკისტი წარმატებას წარმატებაზე აღწევდა თავის მშფოთვარე საქმიანობაში; სამი წელიწადი აბესალომი სისხლის სამართლის სამძებრო სამმართველოს კომკავშირულ ორგანიზაციასაც ედგა სათავეში.

ორი წლის შემდეგ აბესალომ ჩიჩუა უკვე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილე და პარტიული და სახელმწიფო კონტროლის თავმჯდომარეა.

გადიოდა ხანი, თანდათან ოსტატდებოდა აბესალომი, იძენდა ყველა იმ თვისებას, რაც აუცილებელია სისხლის სამართლის სამძებროს მუშაკისათვის: გამბედაობა, ნებისმიერ სიტუაციაში სწრაფად გარკვევა, გასაოცარი ალღო, ის, რაც უხვად აღმოაჩნდა ახალგაზრდა ჩეკისტს. აბესალომ ჩიჩუა მალე ქვეგანყოფილების უფროსად დააწინაურეს. მისი განყოფილება განსაკუთრებით საშიშ დამნაშავეთა საქმეებს იძიებდა და ვინ მოთვლის, რამდენ ბოროტმოქმედებას აეხადა ფარდა.

ახლა ძნელია ყველა იმ საქმის ჩამოთვლა, რომელიც პირადად აბესალომ ჩიჩუას გაუხსნია, მაგრამ ერთ-ერთ მათგანზე მაინც შევჩერდებით.

იმ ხანად კახეთის ზოგიერთ სოფელში გახშირდა მეზობლისათვის ვაზის ბოროტად აჩეხვა. საგონებელში ჩავარდნენ სოფლისა და რაიონის თავკაცები. დასახმარებლად საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართეს. საქმის შესასწავლად და დამნაშავეთა დასადგენად თვითონ აბესალომ ჩიჩუა გაემგზავრა კახეთში.

სოფელში ჩასვლისას აბესალომმა გულდასმით დაათვალიერა რამდენიმე შემთხვევის ადგილი, მერე დაზარალებულები მოიხმო და დეტალურად დაკითხა ისინი.

ქართველმა კაცმა ვაზს შვილივით ნაზარდი უწოდა. ქართველი კაცის სულსა და გულში მართლაც რომ შვილივით არის შესული ვაზის სიყვარული. ვენახის აჩეხვა, მისი განადგურება დიდ მატერიალურ და სულიერ კრახს იწვევს ადამიანში. საჭირო იყო სასწრაფო ზომების მიღება, საჭირო იყო დამნაშავეთა სწრაფი აღმოჩენა და მათი სასჯელის დასჯა, რომ ასეთ ბოროტებას უფრო ფართოდ არ გაედგა ფეხი.

აბესალომ ჩიჩუამ შეძლო ამის გაკეთება. მან, მოკლე დროში, რვა დამნაშავე ამხილა და თავისი გარკვეული წვლილი შეიტანა ქართველი ადამიანისათვის უცხო — ვენახის განადგურების მავნე ტენდენციის საბოლოოდ ამოძირკვაში.

1965 წელს აბესალომი თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების უფროსის მოადგილედ დანიშნეს. აქ კიდევ უფრო ღრმად გამოიკვეთა მისი უტყუარი ალღო, გამჭრიახობა, მინდობილი საქმისადმი ერთგულება. ხუთი წლის შემდეგ უკვე გამოცდილი და გამობრძმედილი ჩეკისტი აბესალომ ჩიჩუა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში გადიყვანეს შტაბის განყოფილების უფროსად.

მის დაოსტატებაში, ჩეკისტურ წრთობაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ამჟამად გარდაცვლილ გენერალს გ. შელიას, პოლკოვნიკ ვ. თალაკვაძეს, ღვაწლმოსილ პენსიონერ კ. გაგუას.

დღეს მილიციის ორგზის ფრიადოსანი, შრომის წითელი დროშის ორდენის კავალერი, დამსახურებული ჩეკისტი, მილიციის პოლკოვნიკი აბესალომ ჩიჩუა, რომელსაც უმაღლეს ეკონომიკურ განათლებასთან ერთად, იურიდიული ფაკულტეტიც აქვს დამთავრებული, ახალგაზრდული ენერგიით და ღრმა ცოდნით უძღვება საქმეს. შინაგან საქმეთა ორგანოების შტაბს მეტად დიდი და საპასუხისმგებლო ამოცანა აკისრია: იგი ახდენს დედაქალაქის მილიციის გარნიზონში არსებული ყველა განყოფილებისა და სამწყობრო დანაყოფის ცალკეული სამსახურების საქმიანობას. ამის სწორი ორგანიზაციისათვის კი საჭიროა იცოდე ათეულობით სამსახურების სპეციფიკა, ერკვეოდე მის ყველა ნიუანსში. ყოველივე ეს მეტად ძნელია და ეს სიძნელეები შინაგან საქმეთა ორგანოებში მუშაობის 28 წლის სტაჟმა, თავისთავზე დაუღალავმა მუშაობამ გადაალახვინა აბესალომ ჩიჩუას, რომლის ჯარისკაცულ პირად საქმეს დღეს უამრავი მადლობა და ჯილდო ამშვენებს.

**რუბენ ფერაძე,**

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს შტაბის ინსპექტორი.

— ბედნიერ მგზავრობას გისურვებ!
— აჰ, მასე? კეთილი ინებეთ და როგორც ჩამომიყვანეთ, უკანაც ისე დამაბრუნეთ.
— შენ რა, თვალდამდგარი ხარ და გზას ვერ გაიგნებ? ნუ გეშინია, არ დაიკარგები.
— ადრე განა ასეთი თვალები მქონდა?
— ზუსტად ასეთი, შუბლს ქვემოთ და ცხვირს ზემოთ.
— ზუსტად ასეთი? ასე ჩამქრალი და ჩაცვენილი?
— ჰმ... თუმცა არა, უფრო ნათელი და სიცოცხლით სავსე.
— თმები როგორიღა მქონდა?
— ხშირი, შავი...
— ახლა?
— გაცილებით თხელი და გადახუნებული.
— ლოყები?
— სავსე, ვარდის ფურცლის ფერი.
— ახლა?
— ჩამომღრალი, ფერდაკარგული.
— გეყოფათ! დამთავრდა ჩვენს შორის ლაპარაკი, გასაგებია?
— ასე მაინც რამ გაგაწიწმატა? განა მე კი ისეთივე თვალები, თმა და სახე მაქვს, უწინ რომ მქონდა?
— იქნებ, თქვენი აზრით, ჩემი ბრალია, რომ თვალები ჩაგიცვივდათ, თმა გაგიჭაღარავდათ და სახე დაგინაოჭდათ?
— მაშ, ვისი?
— ყველამ თავის თავს უნდა მიხედოს!
— რატომ შენ არ მიხედე?
— ვის რაში სჭირდება ჩემი სილამაზე?
— შენ თვითონ.
— ნეტავ ვისთვის ვცხოვრობ?
— საკუთარი თავისათვის.
— ახლა, ამასაც კაცი ქვია! მადლიერების გრძნობა კაცს ხომ უნდა გააჩნდეს?!
— ქალს კი არ უნდა გააჩნდეს?
— როგორც ვხედავ, თქვენ გსიამოვნებთ, რომ მე ასე ცუდად გამოვიყურები.
— როგორც ვხედავ, ბედნიერი ხარ, ასე რომ დავბერდი.
— რა ჩემი ბრალია?
— მაშ, არც ჩემი ბრალია.
— ოოო, იცოდეთ, ძალიან გამაბრაზებთ!
— ისიც იცოდე, რომ ძალიან ფიცხი ვარ.
— ცეცხლი წაეკიდოს ამ თქვენ სარსა და კოფთას.
— რომ დაიწვება?
— დაიწვას!
— დასაწვავი შენი ფულით იყიდე.
— როდის აქეთაა, თქვენი და ჩემი ფული გაიყო?
— თუ მასეა, შენი სარი ხომ ჩემიცაა?
— ნუ მაბრაზებთ, უკვე ისედაც ამიქავდა ენა.
— მე კი რატომღაც ხელი ამიქავდა.
— და თქვენ გამბედაობა გეყოფათ, რომ მე დამარტყათ?
— ნუთუ ჩემს გამბედაობაში აქამდე ეჭვი გეპარებოდა?
— აბა, ერთი ხელი დამაკარეთ?
— ჰოდა, რა მოხდება?
— მე... სახლს გადავწვავ!
— უკვე აივსო ჩემი მოთმინება!
— ვაი!.. ვაი!.. ვაი!.:

●

— მოდით, ჭამეთ.
— არ მინდა.
— გინდა და ჭამე.
— აბა, როგორ ვჭამო, თქვენ რომ არ გიჭამიათ?!
— აჰა! ესე იგი, მე თუ არ ვჭამ, შენც მშიერი დარჩები?
— კმარა, რანაირი ხასიათი გაქვთ! აბა, ისეთი რა გითხარით? მოდით რა!
— კარგი, გადმომიღე. ახლავე მოვალ!

თარგმნა მილიცა ჯაფარიძემ.



საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

# უცხოეთის ჟურნალ-გაზეთებიდან



## ინტერვიუ ელტონ ჯონთან

სუპერვარსკვლავი ელტონ ჯონი პრესაზე რატომღაც გამწყრალია, ჟურნალისტებს საერთოდ ვერ იტანს. რვა თვის განმავლობაში ელტონს არც ერთი ინტერვიუ არ მიუცია და აჰა, როგორც იქნა, დაარღვია დუმილი და თავისი შეხედულებები მეგობრობაზე და ფულის საკითხზე გაუზიარა ჟურნალ „როკის" კორესპონდენტს.

კორესპონდენტი: მართალია, რომ თქვენ ადრე „ტი-ბოი" (ჩაის მიმტანი) იყავით, ერთ ფუნტად მთელი ღამე ოტელში პიანინოზე უკრავდით?

ელტონი: მართალია. ჩვიდმეტი წლისა „მილს მიუზიკთან" ვმუშაობდი. მთელი დღის განმავლობაში ბიუროში ჩაი დამქონდა. ჯერ კიდევ მოსწავლე გახლდით, ოტელში რომ ვუკრავდი პიანინოზე.

კორესპონდენტი: როგორ გაგონდებათ ეს პერიოდი?

ელტონი: იყო სევდიანი მომენტებიც; ძალზე ვიღლებოდი. მაგრამ, საერთოდ, ეს ის დრო იყო, რომელსაც მე დიდი სიამოვნებით ვიგონებ.

კორესპონდენტი: თქვენ აღიარებული ვარსკვლავი ხართ. ვინ მიგაჩნდათ და ვინ მიგაჩნიათ ამჟამად უდიდეს ვარსკვლავად?

ელტონი: ვერ გეტყვით. თქვენ, ალბათ, გულისხმობთ რაღაც არაჩვეულებრივს, გაოცებისაგან პირს რომ დაგაღებინებს; იქნებ ეს იყოს ჯეკსონ ბრაუნი, ლაუარა ნირო, ედიტ პიაფი. სიამოვნებით დავასახელებ ნოელ კოუვარდს.

კორესპონდენტი: როგორ გგონიათ, გაქვთ თქვენ დამახასიათებელი ინდივიდუალური სახე, რითაც განსხვავდებით სხვა დანარჩენი აღიარებული ვარსკვლავებისაგან?

ელტონი: ვერ გეტყვით. არ ვიცნობ ყველა დიდ ვარსკვლავს. ვიცი მხოლოდ ისეთები, როგორიცაა როდ სტიუარტი, მიკ ჯეგერი.

კორესპონდენტი: იმეგობრებდით მიკ ჯეგერთან?

ელტონი: მე ბევრი ახლო მეგობარი მყავს და მიკ ჯეგერთან მეგობრობა დიდად არ მიტაცებს.

კორესპონდენტი: მეგობრები მუსიკოსებს შორის გყავთ, თუ საერთოდ?

ელტონი: ბევრი ჩემი მეგობარი დაკავებულია შოუბიზნესით, მაგრამ არ ვიტყოდი, რომ მათ მხოლოდ საქმიანი დამოკიდებულება ჰქონდეთ ჩემთან.

კორესპონდენტი: რას თვლით ჭეშმარიტი მეგობრობის საუკეთესო თვისებად?

ელტონი: უპირველეს ყოვლისა პატიოსნებას. მე ისევ ის მეგობრები მყავს, რომლებიც მყავდნენ რვა წლის წინათ. საერთოდ, იშვიათია ვინმეს ათი ახლო მეგობარი ჰყავდეს, მაგრამ მე მყავს.

კორესპონდენტი: რა არ მოგწონთ თქვენს პროფესიაში და იმ ადამიანებში, რომლებიც თქვენი ხშირი სტუმრები არიან?

ელტონი: უმეტესობას ჩემთან მეგობრობა მხოლოდ იმიტომ სწადია, რომ მე ელტონ ჯონი ვარ და ბევრი ფული მაქვს. ბევრს, რომლებიც შოუბიზნესით არიან გატაცებული, ინტელიგენტობა აკლია.

კორესპონდენტი: გაქვთ თუ არა სურვილი, თქვენი ფული და ნიჭი ფილმის გადაღებას მოახმაროთ?

ელტონი: ვფიქრობ, გადავიღო ტრიუკებით სავსე ფილმი „კაპიტანი ფანტასტიკა", რომელიც გათვალისწინებულია ახალგაზრდებისათვის. მოხარული ვიქნები, თუ უოლტ დისნეის მაგვარი რამ გამომივა და მასავით უკვდავი იქნება. ბიტლზების „იელოუ სუბმერინ" თავდაპირველად არაჩვეულებრივი იყო, მაგრამ დროთა ვითარებაში მოძველდა.

კორესპონდენტის შეკითხვაზე, თუ რა იქნება მისი შემდეგი მუსიკალური სიურპრიზი, ელტონ ჯონი დუმს, ხოლო რაც შეეხება თავისი კოლეგებისა და შოუს საქმიანობაზე, დიდი ხალისით ჰყვება.

კითხვაზე, აპირებს თუ არა წვერის მოშვებას, ელტონი ეშმაკურად იღიმება და ამბობს, ეს საიდუმლოება ჯერ არ ითქმისო.

გერმანულიდან თარგმნა
მედეა კოდუამ

## ქალი ფეხბურთის მოედანზე

გრაცია პინა 35 წლისაა, ცხოვრობს ბისენციაში, ფლორენციის ახლოს. გრაცია პირველი ქალია მსოფლიოში მსაჯის პროფესიას რომ ეზიარა. იგი ქვრივია. ჰყავს ორი შვილი. ახლახან შევიდა მსაჯების მოსამზადებელ კურსებზე. გარეგნულად ნაზი, სუსტი შესახედაობის ქალია. წლების მანძილზე იგი კამპო ბისენციის სპორტული ასოციაციის თავმჯდომარეა.

ამას წინათ იგი მსაჯობდა ახალგაზრდულ ფეხბურთის გუნდების „ფირენცესა" და „კოლონადას" მატჩს.

ახალგაზრდა ფეხბურთელები თავიდან უკმაყოფილონი დარჩნენ, როცა გაიგეს, ქალს უნდა ემსაჯა. გრაციამ შენიშნა ეს: მოედანზე იგი აწითლებული და საქციელწამხდარი შევიდა.

თამაშის პირველი ნახევარი ისე დამთავრდა, გრაციას ერთხელაც არ დაუსტვენია.

რატომ არ უსტვენს? — უკვირდათ მწვრთნელებს. იგი ბევრს დარბოდა დიაგონალზე. მეორე ტაიმი უკეთ წარიმართა, გრაცია განთავისუფლდა უხერხულობისაგან. ფეხბურთელები უნებურად პატივისცემით განიმსჭვალნენ მისადმი. თამაშის დასასრულს ერთხმად აღიარეს — გრაცია ბრწყინვალედ მსაჯობდაო.

გრაცია პინას მოსვენება არა აქვს ჟურნალისტებისაგან. ამ მატჩის შემდეგ ისე დალალეს შეკითხვებით, ერთმარცვლოვანი სიტყვებით პასუხობდა: „ჰო" „არა".

„მართლა დაანებეთ თავი სიგარეტის წევას? მართლა თხოვდებით? ვინ არის თქვენი საქმრო?" — ამგვარმა და კიდევ უამრავმა შეკითხვამ მოქანცა გრაცია; ისე დალალეს, თამაშის ანგარიში აერია.

ერთი სიტყვით, იტალიელმა ჟურნალისტებმა საქმე იშოვეს.



## უცხოური იუმორი

☆

ქალაქში ჩასული მეტყევე უყურებდა როგორ გახსნა გამყიდველმა მამაკაცის სხვადასხვა ფერი პიჟამოებით სავსე ყუთი.

— ეს რა არის? — ჰკითხა მან გამყიდველს.

— პიჟამოები!

— პიჟამოები?! — გაიოცა მეტყევემ, — კი მაგრამ რისთვის არის საჭირო?

— ღამე რომ ჩაიცვათ, გსურთ იყიდოთ?

— არა, გმადლობთ. ღამე არსად არ დავდივარ! — მიუგო მეტყევემ.

☆

ბაზარში ღორის გამყიდველი ქალი ვერაფრით ვერ მოურიგდა მყიდველს.

ბოლოს მყიდველი მოთმინებიდან გამოვიდა, საფულე ჯიბეში ჩაიდო და გაჯავრებით თქვა:

— რახან ასეა, მქონდეს მე ჩემი ფული, შენ კი გყავდეს შენი ღორი!

☆

„სიტყვა ქარია" — გვაუწყებს ანდაზა.

— არა, ჩემო ბატონო, ეგ ტყუილია! ეგ რომ მართალი იყოს, ჩემი ცოლის ენა მთელ დუნიაზე ყველა ქარის წისქვილს დაატრიალებდა!

☆

— დიახ, ჩვენი დრო სხვა დრო იყო, ჩემო ბატონო, ახალგაზრდა პატივს სცემდა უფროსებს!

— ტყუილად ამბობთ მათ ძვირს, აკი დაგითმეს ამ წუთას ადგილი?

— მე კი დამითმეს, მაგრამ ჩემი ცოლი რომ ფეხზე ჩამოწყდა?!

☆

— რატომ იმეორებ ჭორს?

— აბა, რა ვქნა, მე თვითონ რომ არა მაქვს ნიჭი, ჭორი მოვიგონო!

# კაკალ გულში

მხატვარი თენგიზ სამსონაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



— - ნეტავი ვინ მოიგონა ეს ქულები სკოლაში?



— ხომ გითხარი, მეათე კლასში რომ გადავა, დაჭკვიანდება-მეთქი?

## ეჰ, ხურდას ვიღა ჩიოდა

მაღაზიაში წავედი,
სურსათის ყიდვა მსურდა.
მოლარემ ახლაც ნავაჭრში
სწორად არ მომცა ხურდა.

ჰოდა, როდესაც მოვთხოვე
ჩემი კუთვნილი ფული,
თვალებში რისხვა ჩაუდგა,
ბრაზით აევსო გული.

წამოაფრქვია ბაგიდან
ლანძღვა-გინების ღვარი,
ისე მშვენივრად „შემამკო“,
ვერ გამრეცხავდა მტკვარი.

ვუთხარი, წყეულ ხურდაზე
აღარაფერი მეთქმის,
ოღონდაც ლანძღვის სიტყვები
უკან წაიღეთ-მეთქი.

უკან არაფერს ვიღებთო,
მოკლედ მომიჭრა ბოლოს,
თუ გინდა, მათი გამოცვლა
შემიძლიაო მხოლოდ.

შოთა ამირანაშვილი



— დედიკო, ჩვენი „ცარცი“ ინგლისში მიაქვთო!
— მაგ შერჩენბულებს ცარციც არა აქვთ თავისი?!

# თითქმის დაუჯერებელი

Δ

ინგლისელი ხწავლული ბ. გრები ირწმუნება, რომ სიგამხდრის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა სამზარეულოს შეღებვა... ლურჯად.

ბ. გრების მტკიცებით, ეს ფერი მნიშვნელოვნად აქვეითებს ჭამის მადას, ხოლო ყვითელი და ნარინჯისფერი, პირიქით, უფრო მადიანს ხდის ადამიანს.

Δ

დასავლეთ გერმანიის ერთ-ერთ ავეჯის ფაბრიკაში მუშაობენ ადამიანები, რომელთა მოვალეობაა... ძილი.

ხაძინებელი გარნიტურების რეკლამისათვის, საგანგებოდ დაქირავებულ ადამიანებს რამდენიმე საათი სძინავთ მაღაზიების ვიტრინებში გამოფენილ ხაწოლებში.

Δ

მიმდინარე წლის 22 მარტს ინდოეთში დაიწყო... XX საუკუნე.

მთავრობის მიერ ოფიციალურად დამტკიცებული ზაკა ზამვათის კალენდრის მიხედვით, ინდოეთში ამჟამად 1901 წელია.

Δ

ინდური წელიწადი იყოფა... ექვს დროდ: ზაფხული, წვიმები, შემოდგომა, გვიანი შემოდგომა, ზამთარი და გაზაფხული.

Δ

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ცხოვრობს ვინმე როლფ იარშელი, რომელსაც აქვს ევროპაში ყველაზე მდიდარი... ასანთების კოლექცია.

რამდენიმე ათასი ეგზემპლარიდან, ზოგიერთი ასანთის ხნოვანება ას წელზე მეტია.

Δ

ამერიკის შეერთებულ შტატებში განზრახული აქვთ გადაიღონ მხატვრული ფილმი პრეზიდენტზე, რომელსაც ჩინეთში ოფიციალური ვიზიტის დროს ვილაც ავაზაკები იტაცებენ.

ამერიკის პრეზიდენტის როლის შემსრულებლად ფილმში მოწვეულია ამერიკის ყოფილი პრეზიდენტი... რიჩარდ ნიქსონი.

Δ

ამას წინათ მილანის ეკლესიის სან-მარკოს რესტავრაციის დროს კედელზე მიაკვლიეს ახალი ფრესკის ხაღებავით დაფარულ რაღაც ძველ ნახატს.

ეს ნახატი აღმოჩნდა გენიალური მხატვრის ლეონარდო და ვინჩის ყალმით შესრულებული შედევრი, რომელზეც მადონაა გამოსახული.

Δ

კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე დამანგრეველი იყო 1556 წელს ჩინეთში მომხდარი მიწისძვრა.

ამ მიწისძვრის დროს დაიღუპა... 830.000-ზე მეტი ადამიანი.

გარეკანის პირველ და მეოთხე გვერდზე: თბილისის სიახლენი. თარხან არჩვაძის ფოტო.

# ნარევი

კომპოზიტორი, რომელიც ახალ მუსიკალურ ნაწარმოებს ქმნის, უმთავრესად როიალთან ზის და ხშირად ვერ ასწრებს, ან ვერ ახერხებს მიგნებული მელოდიის ჩაწერას.

ინგლისის ქალაქ აბერდინში ტექნოლოგიური ინსტიტუტის სწავლულებმა ამას წინათ შექმნეს ელექტრონული აპარატურა, რომელიც ნოტებით დაუყოვნებლივ იწერს ყველაფერს, რასაც შემოქმედებით პროცესში როიალზე უკრავს კომპოზიტორი. ამ სიახლის გამოყენება შეიძლება აგრეთვე სხვა კლავიშიან ინსტრუმენტებზეც.

□

დასავლეთგერმანელი პროფესორი ვილი ვირკე ირწმუნება, რომ შოფრების კვების რაციონი დიდ გავლენას ახდენს ავტომანქანის ნორმალურ მართვაზე.

სწავლული ურჩევს შოფრებს, საჭესთან მიჯდომის წინ, სულ ცოტა, ერთი კვერცხი მაინც შეჭამონ. მისი მტკიცებით, კვერცხი ამაგრებს ნერვულ სისტემას და მეტ სიფხიზლეს მატებს მძღოლს.

□

ფრანგი ფსიქოლოგები ხანგრძლივი კვლევის შემდეგ იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ადამიანს ყველაზე მეტად უჭირს ამ სამი სიტყვის წარმოთქმა: „მართალი არ ვიყავი“.

□

სპეციალისტებმა გამოთვალეს, რომ ბანანით დატვირთულ ყოველ გემს, რომელიც ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკიდან შედის ევროპაში, თან მიყვება 20 ათასამდე ობობა და 40 ათასამდე ხოჭო.

შხამიანი მწერები გემებს უმთავრესად მოყვებიან ბრაზილიიდან და კოლუმბიიდან.

□

ერთმა ფრანგმა სტუდენტმა ამას წინათ პასპორტში თავისი სურათის ნაცვლად ჩააკრა... მაიმუნის სურათი.

სტუდენტი სამოგზაუროდ გაემგზავრა ევროპაში. დასავლეთის მრავალი ქვეყნის საზღვარი ისე გადალახა, რომ იგი ერთხელაც არ შეუჩერებიათ.

## ფოტოკლუბი «თბილისი»

ფოტოკლუბი „თბილისი“ არსებობის ათ წელს ითვლის. ფოტოკლუბის პირველი გამოფენა 1968 წლის 10 ივნისს მოეწყო საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის თბილისის ორგანიზაციის მიერ. გამოფენაში მონაწილეობდა 90 ავტორი და წარმოდგენილი იყო 150 ნამუშევარი.

1970 წელს მოეწყო მეორე გამოფენა, რომელზეც წარდგენილი იყო 125 ნამუშევარი. გამოფენაზე პრემირებულ იქნა 7 ნამუშევარი.

1975 წელს კი გამომცემლობა „მერნის“ საგამოფენო დარბაზში მოეწყო ფოტოკლუბ „თბილისისა“ და „ბელგრადის“ ერთდროული გამოფენა (120 ნამუშევარი „თბილისისა“ და 80—„ბელგრადის“) იქვე დემონსტრირებულ იქნა სპეციალური გამოფენა, რომელიც ეძღვნებოდა ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 30 წლისთავს.

ამის საპასუხოდ საბჭოთა კავშირის კულტურის დღეების დროს იუგოსლავიაში გაიგზავნა 60 საუკეთესო ნამუშევარი.

მხატვრული და დოკუმენტური ფოტოგრაფიის საერთაშორისო გამოფენებში აქტიური მონაწილეობისათვის ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით ფოტოკლუბი „თბილისი“ და კლუბის წევრები საპატიო დიპლომებით დაჯილდოვდნენ.

ფოტოკლუბ „თბილისის“ ხელმძღვანელია ფოტოჟურნალისტი ვ. ჯეირანოვი, რომელიც მრავალი პრემიისა და დიპლომის მფლობელია.

ფოტოკლუბის წევრები არიან ინჟინრები: დ. მიქელაძე, ვ. კლიმჩუკი, პედაგოგი ვ. მოშიაშვილი, პრესის მუშაკები ა. კოტორაშვილი, რ. ლაკიძე და სხვები.

ფოტოკლუბ „თბილისს“ შემოქმედებითი კავშირები აქვს საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ფოტოკლუბებთან („კადრი“, „ნოვატორი“, „სემაფორი — 61“, „ზაპოროჟიე“, „უსონი“, „ექსპრესი“, „რიგა“ და სხვ.).

გადაეცა ასაწყობად 6/VI-79 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 8/VII-79 წ., ქაღალდის ზომა 70×108[1]/[8], ფიზიკური ფურცელი 2,5, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 3,5, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,2, ტირაჟი 52.450. შეკვ. 1664. უე 00750. ფასი 30 კაპ.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

რედაქციის მისამართი
380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42
ტელ. — მთ. რედაქტორის — 99-54-66, პ/მგ. მდივნის — 99-82-69, განყოფილების გამგეების — 93-28-42, 99-01-39.

რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.



□ ტბაზე.

დ. მიქელაძის ფოტო



ეროვნული ბიბლიოთეკა

□ ისტორია და მოდა.

ვიქტორ ჯეირანელის ფოტო

□ კახელი ბიჭები.







ИНДЕКС 76056